ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 13 ნოემბერი 2002 №216 (1738) | ფასი 50 თეთრი


CHAMPIONS LEAGUE

# გატეხილმა გულმა გატეხილი სიტყვა თქვა

ამბობდა დიტმარ ჰამანი, ჩემპიონთა ლიგა საჩვენო საქმე არ არის, პრემიერლიგას მივხედოთო, რას ერჩით, მართალი ყოფილა. აი, მისი ნაინფარქტალი მენეჯერი ჟერარ ულიე კი ვერ გამოდგა გულთმისანი. ჯერ კიდევ მეხუთე ტურამდე იძახდა, „ვალენსიასთან" თუ დავმარცხდით, ნუ შეგეშინდებათ, „ბაზელს" უეჭველად მოვუგებთო.

ერთი სიტყვით, „ლივერპული" „ბაიერნს" ამოუდგა მხარში და სანუგეშოდ უეფას თასზე გადაბარგება თუ დარჩა. „სენტ იაკობზე" კი ლივერპულელებს საქმე ისე წაუვიდათ, ნახევარ საათში სამი გოლი გაუშვეს და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რომ მერე თავადაც სამი გაიტანეს — მეოთხეც მიეყოლებინათ, ბიჭობა ის იქნებოდა.

ამავე ჯგუფში „სპარტაკმა" ისე ჩაიკლა სალიგო ამბიცია, უარესს კაცი ვერ წარმოიდგენს.

ამსტერდამში კი „აიაქსი" მშვიდად დამარცხდა „ინტერთან", რაკი მისი საქმე ლიგიდან იქამდეც გავარდნილმა „როზენბორგმა" გააკეთა — „ლიონთან" არ დამარცხდა, რამაც ჯგუფიდან ჰოლანდიელები და მათი მძლეველი „ინტერი" გაიყვანა.

„დორტმუნდმა" ვერ იროზენბორგა, ოსერში წააგო, რითაც საუკუო გზა გადაუკეტა „არსენალთან" ფრედ ნათამაშებ პსჟ-ს.

ხოლო ბერძნულმა აეკ-მა ლიგა ისე დაასრულა, თამაში არ წაუგია, მაგრამ რაღა გინდა, ვერც მოიგო და წინ „რომა" გაატარა.






REUTERS ბაზელიდან

ბაზელი — ლივერპული 3:3. კრისტიან ხიმენესის (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელების მარჯვე თამაშს ჟერარ ულიეს ბიჭებმა ალღო ძალიან გვიან აუღეს

# შავად დაწყებული საქმე თეთრად გათავდა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

სერენა უილიამსი

ვისთვის როგორ და, მსოფლიოს ნარჩევმა მეჩოგნეებმა ჩოგნები განზე დადეს და რეიტინგსიაში საკუთარი ადგილის თვალიერებასა და არანაკლები საქმის, ფულის თვლას შეუდგნენ. უფრო სწორი კი იქნება ვთქვათ, რომ ეს საამური დროება ჯერ ქალებს დაუდგათ, ხოლო კაცები შანხაის დიდძალსაპრიზოიანს მოილევენ და განცხრომას მერე მიეცემიან.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლოს ანჯელესში დამთავრდა WTA-ს ჩემპიონატი, რომელშიც ჩოგნის ქნევაში სეზონის თექვსმეტი უმარჯვესი ქალი გაეჯიბრა ერთმანეთს, ფინალში კი ბელგიელმა ფუმფულა გოგომ, კიმ კლაისტერსმა სერენა უილიამსი დაჯაბნა. უთუოდ სათქმელია ისიც, რომ კლაისტერსი მეოთხე გოგოა, ვისაც ერთ ტურნირზე შავდათა, სერენასი და ვინუსის ძლევა მოუხერხებია.

არადა, კიმი მსოფლიოს მეხუთე ჩოგნოსანი კი გახლდათ, მაგრამ აქამდე დიდი ვერაფერი ტურნირების მომგები იყო. ხოლო რა მოუგია წინა კვირაში მშობლებგაყრილ უმცროს უილიამსს, ჩამოსათვლელად ძალიან ბევრია. ამიტომ წლეულს მისი მოგებული სამი სლემილა ვახსენოთ.

ნაფინალევს სერენამ შავ-შავი ცრემლი ღვარა და ყოფიერების ამაოებაზე ისე ილაპარაკა, ლამის ჩვენც აგვატირა, მაგრამ კარგად თუ მოვჩხრეკთ, ეგრე არ არის, დაო.

სერენა კვლავაც პირველია რეიტინგში და გაისამდეც ვერავინ შენვდება, ფულადაც თითქმის 4 მილიონი მოიხვეჭა და საშობაოდ მსუქან ინდაურსაც გეახლებათ.

კაცებში კი ფინალტურნირი ახლა დაიწყო და ეგებ ისეც მოხდეს, რომ ლეიტონ ჰიუტმა მოიგოს. და, თუ ასე მოხდა, ჰიუტი და კლაისტერსი ერთმანეთს ფულით სავსე თასებით ჩაეხუტებიან — ერთმანეთი ჰყვარებიათ და იმიტომ.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS ლოს ანჯელესიდან

კიმ კლაისტერსი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

**არსენალი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

არსენალი: შიმანი, ლორენი, სტეპანოვსი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ვიეირა (ჟილბერტო სილვა 78), ედუ, კ. ტური, ანრი (ბერგკამპი 64), ჯეფერსი (ვილტორდი 70)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოიერი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 80), ჰოფლანდი, ბუმა, ფოგელი (ლუსიუსი 42), რომედალი, ვან ბომელი, ბრუგინკი (ვან დერ შაფი 71), რობერტი, კეჟმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაძევება: ტური (36)
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
35 274 მაყურებელი

**ოსერი 1:0 დორტმუნდი**

1:0 მვარუვარი (76)
ოსერი: ფაბიან კოლი, რადეტი, გრიხტინგი, ბუმსონგი, ტიური, ლაშუერი, ფელი, ტაინიო (მვარუვარი 46), ფადიგა, მატისი, ჯ. სისე
მწვრთნელი: გი რუ
დორტმუნდი: ლემანი, მაინრიხი (დემელი 26), მადუნი, კელი, დედე, ფრინგსი, რიკენი, როსიცკი, ლეანდრო (რეინა 81), კოლერი, ევერტონი (ამორიზო 65)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მსაჯი: სორინ კორპოდიანი (რუმინეთი)
20 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |

„არსენალი" და „დორტმუნდი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ოსერი" უეფას თასზე

### B ჯგუფი

**ბაზელი 3:3 ლივერპული**

1:0 როსი (2), 2:0 ხიმენესი (22), 3:0 ატუბა (29), 3:1 მერფი (61), 3:2 შმიცერი (64), 3:3 ოუენი (85)
ოუენმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)
ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, მ. იაკინი, ცვისიგი, ატუბა, კანტალუპი, ქამონზიტო, ჰ. იაკინი (კუმანტარაკისი 90), ერგიჩი, როსი (ტუმი 76), ხიმენესი (ბარბერისი 66)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი (დიუფი 80), ტრაორე, ჰიპია, რიისე, მერფი, ჰამანი, შმიცერი, ჯერარდი (დიაო 46), ოუენი, ჰესკი (ბაროში 62)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
29 534 მაყურებელი

**ვალენსია 3:0 სპარტაკი**

1:0, 2:0 ხუან სანჩესი (38, 46), 3:0 აურელიო (78)
ვალენსია: პალოპი, გარიდო, ჯუკიჩი, მარჩენა, აურელიო, დე ლოს სანტოსი (დ. ნავარო 86), ანგულო, კილი გონსალესი, სალვა (ალბიოლი 71), მისტა, ხუან სანჩესი (დავიდ სანჩესი 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, მიტრეიკო (ოგუჩიანა 77), მოიზესი, აბრამიძე, კუდრიაშოვი (სონინი 62), კალინიჩენკო, ბეზროდნი (მარსელო სილვა 46), პავლენკო, ბესჩასტნიხი, დანიშევსკი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: გეორგიოს კაზნაფერისი (საბერძნეთი)
25 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | 16 |
| ბაზელი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:12 | 9 |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 2 | 12:8 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:18 | 0 |

„ვალენსია" და „ბაზელი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლივერპული" უეფას თასზე

### C ჯგუფი

**რომა 1:1 აეკ**

1:0 დელვეკიო (40), 1:1 სენტერი (90)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, ლიმა (გიგუ 82), ემერსონი, ტომაზი, კაფუ (ბომბარდინი 90), დელვეკიო, მონტელა, კასანო (კუფრე 65)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
აეკ: ხოპტისი, გეორგატოსი, რაიტი, ბორბოკისი, კაპსისი (ივიჩი 46), ლაკისი (ცარტასი 61), კაცურანისი, ზაგორაკისი, სენტერი, ნიკოლაიდისი, ნალიცისი (კონსტანტინოუ 46)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
32 734 მაყურებელი

**გენკი 1:1 რეალი**

0:1 ტოტე (21), 1:1 სონკი (86)
გენკი: მოლნა, ტომაშიჩი, სოლი, ზოკორა, რუმანი, ბესლია, სკოკო, ინგრაო (სუზუკი 60), ტიისი, სონკი, ვანდენბერგი (ბატელე 69)
მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი
რეალი: სესარი, იერო (ელგერა 30), რობერტო კარლოსი, მინამბრესი, პავონი, კამბიასო, სოლადო, ფიგუ (მაკმანამანი 67), გუტი, მორიენტესი (სოლარი 77), ტოტე
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
22 500 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 15:7 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 3:4 | 9 |
| აეკ | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 6 |
| გენკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:9 | 4 |

„რეალი" და „რომა" გავიდნენ მეორე ეტაპზე, აეკ უეფას თასზე

### D ჯგუფი

**აიაქსი 1:2 ინტერი**

0:1, 0:2 კრესპო (50, 52), 1:2 ვან დერ ვაარტი (90)
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, დე იონგი, ვან დამი (ვიჩგე 58), გალაშეკი (იაკუბუ 70), პიენაარი (ვამბერტო 58), ვან დერ ვაარტი, მაქსველი, ვან დერ მეიდე, მიდო
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო, კონსეისაუ (ადანი 70), დი ბიაჯო, ალმეიდა, მორფეო, ვიერი, კრესპო (რეკობა 65)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
50 272 მაყურებელი

**როზენბორგი 1:1 ლიონი**

1:0 ბრატბაკი (68), 1:1 გოვუ (84)
როზენბორგი: არნსენი, სტრანდი, ბასმა, ჰოფტუნი, საარინენი, ჯერლი (ლუდვიგსენი 79), სკამელსრუდი, ბერგი, იონსენი, ბრატბაკი, კარადასი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
ლიონი: კუპე, მიულერი, ედმილსონი, კაკაპა, ბრეშე, ვიოლო (ჟუნინიო პერნამბუკანო 66), დიარა, დჰორასო (ლუიენდულა 72), კარიერი (დელმოტი 72), ს. ანდერსონი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
21 008 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 11 |
| აიაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| როზენბორგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:12 | 4 |

„ინტერი" და „აიაქსი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლიონი" უეფას თასზე

# უეფას თასი 2002-2003
## მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

**შტუტგარტი** (გერმანია) 2:0 **ფერენცვაროში** (უნგრეთი) (0:0)
1:0 ამანატიდისი (65), 2:0 მეირა (90პ)
გაძევება: ლიშეი (89, ფერენცვაროში)

**ამიკა** (პოლონეთი) 1:2 **მალაგა** (ესპანეთი) (1:2)
1:0 გესიორი (16), 1:1 დარიო სილვა (20), 1:2 მუსამპა (72)
ამიკა: შამოტულსკი, ბიენიუკი, ჯოკოვიჩი (ლავა 77), სკრობეკი, დემბინსკი, კროლი, გესიორი, ზიენჩუკი, მ. ჯიძია, ბურხარდტი, კუხარსკი
მწვრთნელი: მიროსლავ იაბლონსკი
2 500 მაყურებელი

**ბორდო** (საფრანგეთი) 2:1 **იურგორდენი** (შვედეთი) (1:0)
1:0, 2:0 ფეინდუნი (36, 50), 2:1 ელმანდერი (72)




რომა — აეკ. მარკო დელვეკიომ (№24) ბერძნებს გოლი უთავაზა და ჯგუფში ჩატოვა




ბაზელი — ლივერპული. ხულიო ერნან როსიმ ინგლისელებს ლამის თამაშის დაწყებისთანავე გაუტანა




აიაქსი — ინტერი. ერნან კრესპომ ორ წუთში ორი გაიტანა




გენკი — რეალი. უესლი სონკმა გოლით აი ასე გაიხარა

### გერმანია
**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩი**

კიოლნი (ა) 3:0 დორტმუნდი

### ჰოლანდია
**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩი**

როზენდალი 2:0 გრონინგენი

### შოტლანდია
**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

**დანდი 2:3 დანფერმლაინი**

1:0 ნიკოლსონი (მ.კ.), 2:0 ლოველი (19), 2:1 ბრიუერი (26), 2:2 კროუფორდი (74), 2:3 დეირი (84)
დანდი: სპერონი, მაკი, უოლკი, ტ. ჰამილტონი, ჰერნანდესი, ბ. სმიტი, რეი, ბრედი, ნოვო (მაირი 79), კაბალიერო, ლოველი (სარა 83)
გიორგი ნემსაძე სათადარიგო იყო
ზურაბ ხიზანიშვილი დისკვალიფიცირებული იყო

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

აბერდინი 0:1 ჰარტსი



# იყიდება

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი. შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²
ალ. გობრონიძის ქუჩა №10
☎ 34 38 12, 899 16 08 37

## კალათბურთი
# ულების თასი
### ჯგუფური ეტაპი. V ტური. 12 ნოემბერი

**A ჯგუფი**
გრაველინი 88:82 ხუვენტუდი
ტელეკომი 99:81 ფუენლაბრადა
სნაიდერო 90:86 ურალ გრეიტი

**B ჯგუფი**
ოსტენდე 80:108 ბაზილა
პივოვარნა 59:89 ჟელეზნიკი

**C ჯგუფი**
ტრიესტი 84:72 დარუშაფაკა
კიოლნი 79:74 ისტუდიანტესი
შალონი 102:99 კრკა

**D ჯგუფი**
რიკო 69:79 ვარეზე
ზადარი 66:86 შარლეროა
პოლი 93:79 ლეიდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

### ფეიენოორდი — ნიუკასლი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ზუტებიერი, გაიანი, ვან ვონდერენი, პაუვე, რუისა, შ. სონგი, ემერტონი, ონო, ლურლინგი, ბუფელი, კალუ | გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ე. ობრაიენი, ჰიუზი, სოლანო, ჯენასი, სპიდი, ვიანა, დაიერი, შირერი |

მსაჯი: ფრანც-ხავიერ ვაკი (გერმანია) დისკვალიფიცირებული: ფეიენოორდი: არავინ; ნიუკასლი: არავინ

### დინამო — იუვენტუსი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| რევა, გუსევი, ბოდნარი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, დმიტრულინი, ბელკევიჩი, ელ-კადური, პეევი, გუსინი, შაცკიხი | კიმენტი, პესოტო, ტუდორი, იულიანო, მორეტი, ძენონი, ბაიოკო, კონტე, ძამბროტა, სალასი, ზალაიეტა |

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია) დისკვალიფიცირებული: დინამო: არავინ; იუვენტუსი: ალესიო ტაკინარდი (1 მატჩი)

## ორნი იუვენტუსისკენ, ერთიც პირიქით

### ბებერს რა ენაღვლება...



კრეიგ ბელამი

**„ფეიენოორდმა“** „ნიუკასლს“ აუცილებლად უნდა მოუგოს, თუმცა საუკეთესო თავდამსხმელი, პიერ ვან ჰოიდონკი დაშავებული ჰყავს. სავარაუდოდ ჰოიდონკობას სპილოს ძვლის ნაპირელი ბონავენტურე კალუ გასწევს, რომელიც კვირას, „ზვოლესთან“ წარმატებული თამაშის დღეს, მართალია შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთიც არაფერი დამართნია. კიდევ ჰოლანდიელებს „ზვოლეს“ კარში გოლის გამტანი მარიანო ბომბარდას იმედი აქვთ.

რაც შეეხება ნიუკასლელებს, მათ სათადარიგოთა სკამზე, ალბათ, უელსელ კრეიგ ბელამის ვიხილავთ. ბელამის ცალკე მუხლი სტკიოდა და ცალკე სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი, ახლა კი კვლავ ბობი რობსონის განკარგულებაშია. კარში, რობსონი, ირლანდიელ შეი გივენს ჩააყენებს, ხოლო კირონ დაიერი ალან შირერს უკნიდან მიეხმარება. ისე კი, „ფეიენოორდისა“ არ იყოს, „ნიუკასლსაც“ აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, ხოლო ორივე ერთად, კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ „იუვენტუსს“ დაუჭერენ მხარს.

„ჩვენთვის ამ სეზონში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას მივადექით და სწორედ ახლა გვმართებს საბრძოლო, გუნდური სულისკვეთების გამოვლენა. ჩვენ მზად ვართ „იუვენტუსს“ შევებათ, მით უფრო, რომ პირველ წრეში, ის წაგებული 0:5 მწარედ გვახსოვს“ — ამბობს კიეველთა მწვრთნელი ალექსეი მიხაილიჩენკო.

ხოლო „იუვენტუსის“ თავკაცმა, მარჩელო ლიპიმ, რომლის გუნდს თავი უკვე ქუდში აქვს, ექვსი წამყვანი მოთამაშე, ალესანდრო დელ პიერო, ლილიან ტურამი, ჩირო ფერარა, მაურო კამორანეზი, პაველ ნედვედი და ალესიო ტაკინარდი ტურინში დატოვა.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:2 | 10 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 6 |
| ფეიენოორდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |

## F ჯგუფი

### მანჩესტერი — ლევერკუზენი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, ფერდინანდი, სილვესტრი, ბეკჰემი, ფ. ნევილი, ვერონი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი | ბუტი, სებესკენი, რამელოვი, კლაინი, ლუკაშევიჩი, პროისი, ბალიტში, ბაბიჩი, შიმაკი, ფრანსა, ბრდარიჩი |

მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი) დისკვალიფიცირებული: მანჩესტერი: არავინ; ლევერკუზენი: ილდირაი ბაშტურქი (1 მატჩი)

### ოლიმპიაკოსი — მაკაბი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ელევთეროპულოსი, კოსტულასი, პატსატზოგლუ, ვენეტიდისი, ანცასი, იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, კარამბუ, დრაჩენა, ზიტელბერგი, ჯოვანი | ავატე, ხარაზი, ეჯიოგუორი, ბენადო, კეისი, ბადირი, ზანდბერგი, პრალია, როსო, კატანი, აიეგბენი |

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია) დისკვალიფიცირებული: ოლიმპიაკოსი: ზე ელიასი (1 მატჩი); მაკაბი: არავინ

## ფული და ღირსება

**სატურნირო** თვალსაზრისით უმოტივაციო მატჩში „მანჩესტერს“ კლუბის ღირსება აქვს დასაცავი. „მაკაბისთან“ გასულ ტურში სერ ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა მტკივნეული ალიყური იგემეს, ხურდის დაბრუნებას კი „ოლდ ტრეფორდზე“ „ლევერკუზენთან“ შეეცდებიან. ღირსებაზე თუ მიდგა საქმე, „იუნაიტედმა“ შარშანდელი ლიგიდან იმავ „ლევერკუზენისგან“ დაფრენაც ანდა გაიხსენოს და ამ უქმეებზე მანჩესტერულ დერბიში მარცხიც.

მანჩესტერული დერბის დისკვალიფიკაციის გამო გამომტოვებელი დევიდ ბექჰემი ამჯერად ითამაშებს. ტრავმირებულნი არიან ნიკი ბათი, უესლი ბრაუნი და, ცხადია, როი კინიც.

ლევერკუზენელთა ბანაკში ბრაზილიელ მცველ ჟუანს და ნიგერიელ ნახევარმცველ პასკალ ოჯიგვეს აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამათ გარდა, კლაუს ტოპმიოლერი რამდენიმე კაცის დასვენებასაც აპირებს. ლევერკუზენელთა რიგებში ლუსიო, დიეგო პლასენტე, ბერნდ შნაიდერი და ოლივერ ნოიველი არ იქნებიან.

მიუხედავად ამისა, გერმანელ მწვრთნელს მანჩესტერში სამი ქულის მოპოვების იმედი აქვს. „თუ სასურველი ანგარიშით გავიმარჯვებთ, ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შემდგომ ეტაპზე შედარებით იოლ ჯგუფში მოვხვდეთ. არც გამარჯვებისთვის დაწესებული პრემიები დაგვავიწყდეთ. ასე რომ, ჩვენ აუცილებლად მოგებისთვის ვიბრძოლებთ“ — განაცხადა ტოპმიოლერმა.

„ოლიმპიაკოსს“ კი უეფას თასზე გადასასვლელად ებრაული კლუბის 4-ბურთიანი სხვაობით დამარცხება სჭირდება. ბერძენთა ახალ მწვრთნელ სრეჩკო კატანეცს ამის გაკეთება გიორგიოს ანატოლიკისის და ლამბროს ხუტოსის გარეშე მოუწევს.

რაც შეეხება „მაკაბის“, ისრაელელთა რიგებში „მანჩესტერის“ 3:0 გვემის მონაწილეთაგან ლიტველი რაიმონდას ჟუტაუტასის გარდა ყველა მწყობრშია. ტრავმა მოირჩინა ნიგერიელმა ცენტრალურმა მცველმა ერიკ ეჯიოფორმა, ჟუტაუტასს კი მიხაელ ზანდბერგი შეცვლის. ბერძნებთან პირველ მატჩში ჰეთ თრიქის ავტორ აუებენის წინა ხაზზე იანივ კატანი შეუწყვილდება.

**სერგი ძორიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:8 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:9 | 9 |
| მაკაბი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:14 | 3 |

## G ჯგუფი

### ბაიერნი — ლანსი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვესელსი, ტიამი, რ. კოვაჩი, ლინკე, ტარნატი, ფოიერი, ფინკი, ნ. კოვაჩი, ჰარგრივზი, პისარო, ციკლერი | ვარმუზი, ა. კულიბალი, რ. სონგი, ბაკა, რუდი, ბლანშარი, კორიდონი, სიბიერსკი, კოიტა, უტაკა, მორეირა |

მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია) დისკვალიფიცირებული: ბაიერნი: არავინ; ლანსი: არავინ

### მილანი — დეპორტივო

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, კოსტაკურტა, შიმიჩი, დალა ბონა, ბროკი, ამბროზინი, სერჯინიო, შევჩენკო, ტომასონი | ხუანმი, სკალონი, ჰექტორი, დონატო, რომერო, მაურო სილვა, სერხიო, ვიქტორი, ფრანი, მაკაი, ლუკე |

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი) დისკვალიფიცირებული: მილანი: კლარენს ზეედორფი (1 მატჩი); დეპორტივო: არავინ

## დღეს ველით მეორეს

**დღეს** თუ „ლანსმა“ მოიგო, ნუ გაიკვირვებთ, უმოტივაციო „ბაიერნის“ თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი „ოლიმპიაშტადიონზე“ სათადარიგო შემადგენლობის გაყვანას გეგმავს. თავის მხრივ, ფრანგთა მწვრთნელი ჟოელ მიულერი საბრძოლო რაზმის იმედზეა, მიუნხენში სასეირნოდ არ ჩამოვსულვართო.

„ცხადია, მოგება კარგი იქნება, მაგრამ არა მნიშვნელოვანი. „ბაიერნისთვის“ ბუნდესლიგაღა დარჩა“ — ამბობს ჰიცფელდი.

გადაავლეთ თვალი სავარაუდო შემადგენლობებს, იქ ვერსად ნახავთ კანს, ელბერს, ბალაკს, ლიზარაზუს, შოლს, სალიჰამიჯიჩს, იერემისს, ზე რობერტოს, სანტა კრუზს. დარჩა ვინმე? კი, სათადარიგოები, თუმცა არცთუ ურიგო ფეხბურთელები.

„სან სიროზეც“ მასპინძლები მეორე გუნდით აპირებენ თამაშს. კარლო ანჩელოტის სამწყსოს თავი ქუდში აქვს, აი, „დეპორტივოს“ მწვრთნელი ხავიერ ირურეტა იძულებით თუ მოისაკლისებს ძირითადი შემადგენლობის ორ ფეხბურთელს: მაროკოელი მცველი ნურედინ ნაიბეტი და ასევე უკანახაზელი სესარი პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მატჩში „სოსიედადთან“ დაშავდნენ. ნაიბეტს დონატო შეცვლის, სესარს კი ჰექტორი. კვლავაც უბრადაა ირურეტა დიეგო ტრისტანთან. ფორვარდს ამჯერადაც სკამზე უპირებს გამწესებას, ჰოლანდიელ როი მაკაის კი ახალგაზრდა ალბერტო ლუკე შეეწყვილება.

ისევე როგორც ჰიცფელდი, ანჩელოტიც თითქმის მთელ გუნდს ასვენებს — ინძაგის, რივალდოს, ნესტას, პირლოს, რუი კოშტას და მალდინის განგებ, გატუზოს და მეკარე დიდას ტრავმების გამო, ხოლო კლარენს ზეედორფს დისკვალიფიკაცია აქვს.

ერთი სიტყვით, მატჩები კი ჩატარდება, მაგრამ საკითხავი ისაა, ვინ იქნება მეორე?

**გიორგი გუგავიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:11 | 9 |
| ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:10 | 1 |

## H ჯგუფი

### ლოკომოტივი — ბრიუგე

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეჩკოვი, იგნაშევიჩი, მამინოვი, ობიორა, ლოსკოვი, ჟულიო სეზარი, ევსეევი, სიჩიოვი, პიმენოვი | ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, კლემენტი, ვან დერ ჰეიდენი, სიმონსი, სტოიცა, ენგლებერტი, ვერჰეიენი, მენდოსა, ს. მარტენსი |

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი) დისკვალიფიცირებული: ლოკომოტივი: არავინ; ბრიუგე: არავინ

### ბარსელონა — გალათასარაი

საპარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ენკე, პუიოლი, ტორტოლერო, ნავარო, როჩემბაკი, ხერარდი, გაბრი, ინიესტა, რიკელმე, დანი, ჯოვანი | მონდრაგონი, უმიტი, ბიულენტი, ვედათი, ალმაგრო, ერგიუნი, ჰასანი, ბატისტა, ჰაკანი, ბულიჩი, არიფი |

მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია) დისკვალიფიცირებული: ბარსელონა: არავინ; გალათასარაი: არავინ

## ვაი, თვალი!

### ბარსელონა და იგივენი

**„ბარსელონას“** თავისი მარაგით სანერვიულო არაფერი აქვს. ლუის ვან გაალს კი კვლავ ეძლევა შანსი, ძირითადი შემადგენლობის ბიჭები დაასვენოს. ასე იყო წინა ტურშიც, როცა კატალონიელები „ბრიუგეს“ ესტუმრნენ. ლუის ენრიკე და მარკ ოვერმარსი ტრავმამოუშუშებელნი არიან, ხოლო კლუივერტს, სავიოლას და ფრანკ დე ბურს ამოსუნთქვის საშუალება მიეცემათ. ესენი კი არიან მთავარნი, თუმცა ხერარდისა და რიკელმეს დონის ბიჭებზე სათადარიგოებს ძნელად იტყვის კაცი. რიკელმემ უკვე არაერთხელ დაუმტკიცა ჰოლანდიელ სპეციალისტს, რომ მთავარკაცობაზე სერიოზული პრეტენზია აქვს. თავის გამოჩენის შანსი კვლავაც ეძლევათ დანის და უყრმეს ანდრეას ინიესტას, ვინაც „ბრიუგესთან“ ძელს გაარტყა ბურთი და ეგებ დღეს მაინც გაილაღოს გოლით.

მოსაგებად ილტვის სტამბოლის „გალათასარაი“. ფატიჰ თერიმის „ლომები“ ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, ლომზე წარმოდგენას დაგაკარგვინებენ. „ფენერბაჰჩესთან“ სამარცხვინო მარცხის შემდეგ „გალამ“ სტუმრად „ადანასაც“ ვერაფერი მოუხერხა და ახლა „ბარსელონას“ წაქცევა მოსდომებია. თერიმის ნაქები ორი ბრაზილიელიდან ერთი, ფელიპე, უკვე დაემშვიდობა სტამბოლს, რადგან სქემებში არ ჯდებოდა. „იმპერატორი“ უკმაყოფილოა უმით კარანის, დავალა უმითისა და ემრე აშიკის თამაშითაც. ალბათ, მათ სათადარიგოთა სკამზე მოუწევთ ყურყუტი.

ორი რუსული გუნდიდან ერთმაც ვერ შეძლო ლიგის მატჩის შინ მოგება. „ლოკომოტივი“ დღეს ნავსის გატეხვას ეცდება „ბრიუგესთან“. გარდა ამისა, საკუთარ ჩემპიონატშიც არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს — მთელი წლის მონაგარი და პირველი ადგილი ბოლოს გაანიავა და ახლა ორ ფრონტზე ომობს. სიომინის თქმით, „ლოკო“ დღესაც მოსაგებად ითამაშებს, შინაური ჩემპიონატის ბოლოს ტურშიც და, თუ საჭირო გახდა, „ოქროს მატჩშიც“.

მოკლედ, სამივე გუნდს, „ბარსელონას“ გარდა, მეორე ადგილისკენ უჭირავს თვალი და ვინ ვის გამოთხრის თვალს, საღამოს გამოჩნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

# იტალიურ სამართალს პურის ჭამა მოუნდა

## მოსამართლეები სასამართლოში გარბიან

**იტალიელი მსაჯები** სამოქალაქო სასამართლოებისკენ იწევენ, სამართალს პური იქ უნდა ვაჭამოთო, რაზეც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ღრენით პასუხობს, ჩვენ თავად გვაქვს სადისციპლინო კომიტეტი და კეთილი ინებეთ, პრობლემების მოსაგვარებლად მას მიმართეთო. ერთი კი ფაქტია — იტალიაში ფეხბურთელთა, მწვრთნელთა თუ კლუბების წარმომადგენელთა მხრიდან არბიტრების მწვავედ გაკრიტიკება ყოველდღიურ წესად დამკვიდრდა.

ფედერაციამ ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა. განცხადებაში, რომელსაც, თავის მხრივ, კომენტარი ორგანიზაციის პრესატაშემ გაუკეთა, ნათქვამია, რომ მართალია მსაჯებს სასამართლოებში ჩივილის უფლება არ აქვთ, მაგრამ არც მათი ლანძღვა-გინებაა კარგი და, ამიერიდან, ამას ბოლო მოეღება.

და, აი, პირველი მაგალითიც: ორშაბათს, ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „რომას" პრეზიდენტის, ფრანკო სენსისა და „კომოს" პრეზიდენტის ენრიკო პრეციოზის კომენტარებს მიაქცია ყურადღება. სენსის კომენტარში, კაცმა, რომ თქვას, ახალი არაფერია, ეს ძიაკაცი იმასვე იმეორებს, რასაც ადრე ამბობდა — „რომას" მოთამაშეებს ყვითელი ბარათები ასე უხვად იმიტომ აქვთ, რომ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამოტოვონ და საბოლოოდ, ჩემპიონი ჩრდილოიტალიის რომელიმე გუნდი გახდესო.

რაც შეეხება ენრიკო პრეციოზის, მის ახლოს გასაცნობად შეგვიძლია ციტატა მოვიტანოთ:

„დღეს „ბოლონიამ" „კომო" დაამარცხა, 1:0. გოლი მსაჯმა ალფრედო ტრენტალანჯემ გაიტანა. იგი ბოლონიელთა სასარგებლოდ სჯიდა. გასული კვირის განმავლობაში მსაჯობაზე ბევრი ვისაუბრე და აი, როგორ დამსაჯეს" — თქვა მან.

ადრე, ასეთ კომენტარებს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უყურადღებოდ ტოვებდა.



სანამ ფეხბურთი არსებობს, მსაჯები და ფეხბურთელები მუდამ იკამათებენ

**ბაჩუნა ძიძია**

### ფეხბურთის რუკასთან



**რუსი** ფეხბურთელი იგორ ტიტოვი, რომელსაც ტრავმა ჯერ კიდევ არ მოუშუშებია, ამ დღეებში პორტუგალიიდან დაბრუნდა, სადაც მეგობარ დმიტრი ალენიჩევს სტუმრობდა და „პორტუ" — „ბენფიკას" მატჩს დაესწრო. ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ტრიბუნაზე მოკალათებულ ტიტოვს თვალი მოჰკრეს და უმალ გაიფიქრეს, „პორტუში" ხომ არ აპირებს კარიერის გაგრძელებასო. რუსმა კი განაცხადა, ალენიჩევს უფრო იხილავთ „სპარტაკში", ვიდრე მე „პორტუშიო".

**ინგლისური** „ლივერპულის" 35 წლის ქომაგი სხეულის სერიოზული დაზიანებებით ციურიხის საავადმყოფოში მოათავსეს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ როცა მერსისაიდული კლუბის ასამდე გულშემატკივარი ბისტროში იმყოფებოდა, ვიღაცამ ასაფეთქებელი საშუალება შეაგდო, რითაც ბისტროს მეპატრონემ 7 ათასი დოლარი იზარალა. ამის შემდეგ „ბაზელისა" და „ლივერპულის" ქომაგთა შორის ხელჩართული ბრძოლა ატყდა. პოლიციამ 19 მოჩხუბარი დააკავა, რომელთა შორის ბრიტანეთისა და გერმანიის მოქალაქეებიც არიან.

**კოსტა რიკის** ეროვნულ გუნდს ოთხი წლით ამერიკელი სპეციალისტი სტივ სიმპსონი უთავკაცებს. იგი ამ ხნის განმავლობაში 1,4 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ფეხბურთის ფედერაციამ მას 2006 წლის მუნდიალზე გაყვანა დაუსახა მიზნად. შეგახსენებთ, რომ კორეა-იაპონიაში კოსტარიკელებს ბრაზილიელი ალეშანდრე გიმარაეში წვრთნიდა, თუმც სექტემბერში მან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა. შეგახსენებთ, რომ სიმპსონი აშშ-ს ნაკრებს 1995-1998 წლებში წვრთნიდა.

**გერმანიის** ნაკრები და ბუნდესლიგაში მობურთალი ვარსკვლავები 16 დეკემბერს საქველმოქმედო შეხვედრას გამართავენ. ბუნდესნაკრების მოწინააღმდეგეებს გულშემატკივრები იმ 41 ფეხბურთელში აარჩევენ, რომლებსაც გერმანიის საფეხბურთო კავშირი დაასახელებს. ბილეთების გაყიდვით შესული თანხა კი მთლიანად წყალდიდობით დაზარალებულთა ფონდში ჩაირიცხება.

**ინგლისური** „სანდერლენდის" 28 წლის ამერიკელი ლეგიონერი კლაუდიო რეინა სულ მცირე ექვსი თვით გამოვიდა მწყობრიდან. მან მუხლის მძიმე ტრავმა „ბოლტონი" — „სანდერლენდის" შეხვედრისას მიიღო. რეინას ოპერაციას შემდეგ კვირაში გაუკეთებენ.

**უკრაინელი** სერგეი რებროვი „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" როგორც იქნა, ტრანსფერზე დააყენა. 28 წლის თავდამსხმელს პირველი მთხოვნელიც გამოუჩნდა — პრემიერლიგის ახალბედა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი". ბირმინგემელთა თავკაც გარი მეგსონს ეიმედება, რომ აღმოსავლეთევროპელს იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისას შეიძენს.

**ესპანური** „ბარსელონას" 20 წლის მეკარემ ვიქტორ ვალდესმა „ბარსელონა B"-ში ვარჯიში იუკადრისა, რამაც კლუბის მესვეურები და მწვრთნელი ლუის ვან გაალი გააცოფა. „სარეზერვო გუნდში ვარჯიშის უარყოფა ნიშნავს, რომ მას მუშაობა არ სურს, ეს კი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს" — განაცხადა ჰოლანდიელმა.

**იტალიური** „ლაციოს" სელექციონერები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს „მონაკოს" მექსიკელ ცენტრალურ მცველ რაფაელ მარკესს. ბოლო მუნდიალზე ბრწყინვალედ მოთამაშე მექსიკელს ადრეც შეეძლო კლუბის გამოცვლა, მისით თვით მადრიდის „რეალი" იყო დაინტერესებული, თუმც საქმე შორს აღარ წასულა.

**ირლანდიური** ფეხბურთის ვეტერანმა ნაილ ქუინმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. მისი განცხადებით, „სანდერლენდის" ამჟამინდელი მწვრთნელი ჰოვარდ უილკინსონი ვარჯიშისას დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, რასაც იგი ვერ უძლებდა. მას ქრონიკული ზურგის ტკივილი აწუხებს.

**ესპანური** ფეხბურთის გრანდი მადრიდის „რეალი" 18 დეკემბერს მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საჩვენებელ მატჩს გამართავს მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებთან. მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა მოსაწვევები დაარიგა. რა თქმა უნდა, ბარსელონელებიც მიიწვია, თუმც „ბარსას" პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, 18 დეკემბერს მადრიდში ვერ ჩავალო. ამ განცხადებამ ესპანეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია. სპეციალისტთა აზრით, ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ამ ორ კლუბს შორის მშვიდობა არასდროს დაისადგურებს.

**იაპონიის** ნაკრები 20 ნოემბერს საიტამაში არგენტინელებს ამხანაგურად წაებურთავება. აზიელთა ბრაზილიელ დამრიგებელ ზიკოს მხოლოდ ორი ევროპელი ლეგიონერი, შუნსუკე ნაკამურა („რეჯინა") და ტაკაიუკი სუძუკი („გენკი") დაეხმარება. დანარჩენ „ევროპელებს" კი კლუბები არ უშვებენ. რაც შეეხება ზიკოს დებიუტს, მისმა გაწვრთნილმა იაპონელებმა იამაიკასთან 1:1 ითამაშეს.

**გერმანელი** ფეხბურთის სპეციალისტი ბერნდ შტანგე ერაყის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. კონტრაქტი ოთხწლიანია. იგი ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელობასაც შეითავსებს. 54 წლის გერმანელი ადრე ომანში, ავსტრალიასა და უკრაინაში საქმიანობდა.


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


## გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

**ფრაიბურგი 1:0 ტრირი**

1:0 მიულერი (41)

ფრაიბურგი: გოლცი, ბერნერი, მიულერი, კონდე, რიტერი, ცქიტიშვილი (მეტერი 61), ა. ცოიერი, კულიბალი (სელიმი 82), კობიაშვილი, რამდანე, ტანკო (ბ. დიარა 46)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

მსაჯი: შტარკი

19 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 12 | 8 | 1 | 3 | 19:10 | 25 |
| კიოლნი | 12 | 6 | 6 | 0 | 26:13 | 24 |
| აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 23 |
| ალემანია | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 22 |
| ტრირი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:13 | 20 |
| ფიურტი | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 22:14 | 19 |
| ობერჰაუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 19 |
| როიტლინგენი | 12 | 6 | 1 | 5 | 22:21 | 19 |
| მაინცი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:12 | 18 |
| ლიუბეკი | 12 | 5 | 1 | 6 | 21:18 | 16 |
| დუისბურგი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:16 | 15 |
| უნიონი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:26 | 13 |
| ალენი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:20 | 12 |
| კარლსრუე | 12 | 2 | 5 | 5 | 12:19 | 11 |
| ზტ. პაული | 12 | 2 | 2 | 8 | 17:30 | 8 |
| ბრაუნშვაიგი | 12 | 1 | 3 | 8 | 13:29 | 6 |
| ვალდჰოფი | 12 | 1 | 2 | 9 | 11:30 | 5 |

## ინგლისი

I დივიზიონი. XVIII ტური

**ვულვერჰემპტონი 1:1 ბრაიტონი**

0:1 ზამორა (16), 1:1 მილერი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:17 | 42 |
| ლესტერი | 17 | 11 | 4 | 2 | 27:14 | 37 |
| ნორვიჩი | 18 | 9 | 6 | 3 | 31:15 | 33 |
| უოტფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 25:25 | 31 |
| ნოტინგემი | 17 | 8 | 6 | 3 | 29:15 | 30 |
| რედინგი | 17 | 9 | 2 | 6 | 21:14 | 29 |
| შეფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:23 | 29 |
| ქოვენთრი | 18 | 7 | 6 | 5 | 23:23 | 27 |
| ვულვზი | 17 | 7 | 5 | 5 | 34:20 | 26 |
| როტერჰემი | 18 | 7 | 5 | 6 | 31:23 | 26 |
| ბარნსლი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:32 | 25 |
| კრ. პალასი | 17 | 5 | 9 | 3 | 28:21 | 24 |
| დერბი | 18 | 7 | 3 | 8 | 21:24 | 24 |
| ჯილინგემი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:25 | 23 |
| უიმბლდონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:28 | 22 |
| მილუოლი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:28 | 22 |
| პრესტონი | 17 | 4 | 8 | 5 | 25:27 | 20 |
| უოლსოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 26:31 | 19 |
| ბრედფორდი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:29 | 19 |
| იფსვიჩი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:20 | 17 |
| გრიმსბი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:34 | 16 |
| სტოკი | 18 | 3 | 5 | 10 | 20:33 | 14 |
| უენსდი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:28 | 12 |
| ბრაიტონი | 16 | 2 | 2 | 12 | 15:33 | 8 |

## ჩეხეთი

80-14 ტური: ბლშანი — სინოტი 1:2; პრაღის ქროლვი — ლიბერეცი 3:2; ზლინი — ბრნო 2:1; პრჟიბრამი — ბუდეიოვიცე 2:0; სიგმა — სპარტა 0:2; ბოჰემიანსი — ტეპლიცე 2:3; ჟიჟკოვი — სლავია 0:4. იაბლონეცი — ბანიკი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 13 | 10 | 3 | 0 | 24:3 | 33 |
| სლავია | 13 | 8 | 4 | 1 | 27:8 | 28 |
| ტეპლიცე | 13 | 8 | 0 | 5 | 20:17 | 24 |
| ლიბერეცი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 23 |
| ბანიკი | 12 | 6 | 2 | 4 | 19:12 | 20 |
| პრჟიბრამი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:10 | 18 |
| ჟიჟკოვი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 18 |
| სინოტი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:16 | 18 |
| იაბლონეცი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:19 | 16 |
| ბლშანი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 5 | 0 | 8 | 18:26 | 15 |
| ბრნო | 13 | 4 | 2 | 7 | 16:18 | 14 |
| ზლინი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:21 | 13 |
| სიგმა | 13 | 2 | 5 | 6 | 11:15 | 11 |
| ჰრადეც კრალოვე | 13 | 1 | 7 | 5 | 10:19 | 10 |
| ბოჰემიანსი | 13 | 2 | 3 | 8 | 16:28 | 9 |

## პოლონეთი

80-13 ტური: ოსტროვეცი — პოლონია 2:1; ზაგლებე — ამიცა 1:1; გროცლინი — რუხი 1:1; ლეგია — გარბანია 2:1; პოგონი — ლეხი 0:1; გურნიკი — ვიძევი 4:0; ვისლა — პლოცკი 4:0; ოდრა — კატოვიცე 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 13 | 8 | 3 | 2 | 35:14 | 27 |
| ლეგია | 13 | 7 | 6 | 0 | 23:12 | 27 |
| კატოვიცე | 13 | 8 | 2 | 3 | 18:8 | 26 |
| ოდრა | 13 | 7 | 3 | 3 | 19:17 | 24 |
| გროცლინი | 13 | 6 | 5 | 2 | 23:17 | 23 |
| გურნიკი | 13 | 5 | 4 | 4 | 22:15 | 19 |
| ამიცა | 13 | 4 | 6 | 3 | 16:13 | 18 |
| პლოცკი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:18 | 16 |
| პოლონია | 13 | 4 | 3 | 6 | 16:23 | 15 |
| რუხი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:21 | 14 |
| ოსტროვეცი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:25 | 14 |
| ზაგლებე | 13 | 3 | 4 | 6 | 15:14 | 13 |
| ლეხი | 13 | 2 | 7 | 4 | 11:14 | 13 |
| გარბანია | 13 | 3 | 4 | 6 | 22:26 | 13 |
| ვიძევი | 13 | 2 | 5 | 6 | 11:19 | 11 |
| პოგონი | 13 | 1 | 3 | 9 | 10:27 | 6 |

## პორტუგალია

I ლიგა. X ტური

**ჟილ ვისენტე 3:1 ბელენენსეში**

1:0 ლურიორუ (8), 1:1 ჟ. ფერნანდეში (14), 2:1 გაბარო (39), 3:1 ფილიპე (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 7 | 3 | 0 | 20:9 | 24 |
| ბენფიკა | 10 | 6 | 2 | 2 | 23:9 | 20 |
| გიმარაეში | 10 | 6 | 1 | 3 | 23:17 | 19 |
| სპორტინგი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:14 | 19 |
| ბელენენსეში | 10 | 5 | 2 | 3 | 13:12 | 17 |
| ვარზიმი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 16 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 |
| ფერეირა | 10 | 4 | 1 | 5 | 13:16 | 13 |
| მარიტიმუ | 9 | 4 | 1 | 4 | 10:14 | 13 |
| ბრაგა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:18 | 13 |
| სეტუბალი | 10 | 2 | 6 | 2 | 13:9 | 12 |
| ბოავიშტა | 10 | 3 | 3 | 4 | 7:9 | 12 |
| ბეირა მარი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:12 | 12 |
| ლეირია | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 |
| ნასიონალი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:15 | 11 |
| მორეირენსე | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| აკადემიკა | 10 | 1 | 4 | 5 | 11:17 | 7 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 1 | 6 | 11:18 | 7 |

## იტალია

სერია B. XI ტური

**სიენა 4:3 კატანია**

1:0 ტირიბოკი (3), 1:1 პოსანცინი (12), 2:1 ტირიბოკი (23), 2:2 პოსანცინი (32), 2:3 ძოლი (69), 3:3 რუბინო (72), 4:3 ტირიბოკი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 10 | 5 | 5 | 0 | 14:7 | 20 |
| კალიარი | 10 | 5 | 4 | 1 | 11:7 | 19 |
| ტერნანა | 10 | 5 | 3 | 2 | 10:6 | 18 |
| სიენა | 10 | 4 | 5 | 1 | 10:7 | 17 |
| ტრიესტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 16 |
| პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 13:14 | 16 |
| ანკონა | 10 | 3 | 6 | 1 | 15:11 | 15 |
| ლეჩე | 10 | 3 | 6 | 1 | 12:9 | 15 |
| ლივორნო | 10 | 5 | 0 | 5 | 11:9 | 15 |
| ასკოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 7:7 | 13 |
| ბარი | 10 | 2 | 6 | 2 | 8:6 | 12 |
| ჯენოა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| ვენეცია | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| მესინა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| კოზენცა | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | 11 |
| ვერონა | 10 | 2 | 4 | 4 | 12:12 | 10 |
| ნაპოლი | 10 | 2 | 4 | 4 | 14:16 | 10 |
| კატანია | 10 | 2 | 3 | 5 | 12:20 | 9 |
| ვიჩენცა | 10 | 1 | 5 | 4 | 12:18 | 8 |
| სალერნიტანა | 10 | 2 | 0 | 8 | 8:18 | 6 |

## უკრაინა

80-15 ტური: ობოლონი — პოლიგრაფტექნიკა 2:2; დინამო — დნეპრი 1:0; შახტარი — მეტალისტი 2:0; მ. ზაპოროჟიე — არსენალი 0:5; ვოლინი — ჩერნომორეცი 2:2; ტავრია — კარპატი 1:0; ვორსკლა — მ. დონეცკი 0:0; კრივბასი — მ. მარიუპოლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 15 | 12 | 2 | 1 | 31:12 | 38 |
| დნეპრი | 15 | 11 | 2 | 2 | 24:8 | 35 |
| არსენალი | 15 | 10 | 3 | 2 | 38:13 | 33 |
| დინამო | 15 | 10 | 3 | 2 | 33:9 | 33 |
| მ. დონეცკი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:13 | 28 |
| ვოლინი | 15 | 7 | 2 | 6 | 21:24 | 23 |
| კრივბასი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:15 | 18 |
| ტავრია | 15 | 5 | 2 | 8 | 17:25 | 17 |
| მ. მარიუპოლი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:22 | 16 |
| პოლიგრაფტექნიკა | 15 | 3 | 7 | 5 | 16:22 | 16 |
| მეტალისტი | 15 | 4 | 4 | 7 | 10:20 | 16 |
| კარპატი | 15 | 3 | 6 | 6 | 12:16 | 15 |
| ობოლონი | 15 | 3 | 5 | 7 | 14:19 | 14 |
| ვორსკლა | 15 | 3 | 2 | 10 | 8:27 | 11 |
| მ. ზაპოროჟიე | 15 | 2 | 4 | 9 | 9:24 | 10 |
| ჩერნომორეცი | 15 | 2 | 2 | 11 | 9:26 | 8 |


საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონ-მაღაზია

ბილიარდის სახლი

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები Zeus

- კია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 161 GEL
- კიის თარო 24 GEL
- ბურთის პოლირებისთვის 47 GEL
- ბილიარდის ქილოფები 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL

900 GEL-დან

მასტერი

დამზადება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, შეკეთება

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კავოს)

11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

# საქმე და სიტყვა

## ბუნდესლიგა, პრემიერლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე



იენს ლემანის გაძევებას დორტმუნდელთა ბანაკში დიდი აურზაური მოჰყვა

## გერმანია

— დორტმუნდის „ბორუსიამ" ჩემპიონატში პირველად წააგო. უკანასკნელად „დორტმუნდმა" მიუნხენში 1991 წელს მოიგო. მაშინ დორტმუნდელებს „ბაიერნის" დღევანდელი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი წვრთნიდა.

— „ჰამბურგმა" ბუნდესლიგის მატჩებში 550-ე გამარჯვება მოიპოვა. ამ ტურში, მიუნხენთან, ჰამბურგელთაგან საუკეთესოდ არგენტინელი კარდოზო დაასახელეს. სხვათა შორის, კარდოზო პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში 6 თვის შემდეგ.

— „შტუტგარტ" — „ბოხუმის" მატჩის გმირი რუმინელი თავდამსხმელი განია გახდა. მან 18 წუთში 3 გოლი გაიტანა და კრიტიკოსებიც, რომლებიც რუმინელს „ბაიერთან" მატჩიდან მოყოლებული არ ასვენებდნენ, დროებით მაინც ჩააჩუმა. „ბაიერთან" კი განიამ 15 წუთში ზედიზედ 4 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ბოლო 5 მატჩში „შტუტგარტმა" 13 ქულა დააგროვა და ჩემპიონატის ამ მონაკვეთში ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბია.

— „ვოლფსბურგის" შემადგენლობაში თავისი მესამე გოლი შეაგდო შტეფან ეფენბერგმა. არადა, მთელი გასული სეზონის მანძილზე „ბაიერნის" შემადგენლობაში შტეფანმა სულ 2 გოლი გაიტანა. შემდეგ ტურში, ეფენბერგი თავის ყოფილ კლუბს „ოლიმპიაშტადიონზე" დაუპირისპირდება.

— „ჰანოვერის" შემადგენლობაში თავის მერვე მატჩში ფრედი ბობიჩმა მე-8 გოლი შეაგდო.

**მათიას ზამერი, „დორტმუნდის"** მწვრთნელი: საწყის 20 წუთში ორი გოლი უნდა გაგვეტანა. დაკარგულ ქულებს არ მივტირი, გაძევებების გამო ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელის გარეშე დავრჩით. უნდა ითქვას, რომ მსაჯს ხშირად ნებისყოფა ღალატობდა.

**იენს ლემანი, „დორტმუნდის"** მეკარე: ეს იყო ყველაზე ბრმა მსაჯი, მათგან ვინც კი ოდესმე მინახავს.

**პაულ ბრაიტნერი,** 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი: სამი ქულისთვის ბავარიელებმა მადლობა დორტმუნდელებს უნდა გადაუხადონ. ჩემთვის გაუგებარია, პირველი ოცი წუთის შემდეგ ნებაყოფლობით რატომ დაუთმო „ბორუსიამ" მეტოქეს მატჩის სადავეები.

**როკე სანტა კრუზი, „ბაიერნის"** თავდამსხმელი: დამარცხებების შემდეგ მწვრთნელი ყოველთვის გვიცავდა, ახლა კი ჩვენ გვინდოდა, მწვრთნელი დაგვეცვა.

**ული ჰიონესი, „ბაიერნის"** მენეჯერი: „ბაიერნს" რომ 9 დორტმუნდელისგან გაეშვა გოლი, მთელი ქვეყნის დასაცინი გახდებოდა.

## ინგლისი

— გარეთ საუთგეიტის გვიანმა გოლმა „ლივერპულს" ამ სეზონში პირველი მარცხი აგემა. ამასთანავე, ქურარ ულიეს დამომლვრილებმა წლევანდელ პრემიერლიგაში პირველად დატოვეს მოედანი უგოლოდ.

— ლონდონის „არსენალმა" ბოლო 13 ტურში 29 ქულა დააგროვა, რაც დედაქალაქელთათვის ბოლო 11 წლის საუკეთესო შედეგია.

— მანჩესტერულ დერბიში სიტელებს 1989 წლის შემდეგ არ მოეგოთ.

— „ბოლტონს", „ვესტ ბრომიჩს" და „ფულემს" ზედიზედ შვიდ-შვიდი მოუგებელი მატჩი დაუგროვდათ.

— გასულ სეზონიდან მოყოლებული „მიდლსბრომ" 43 უპენალტო მატჩი ჩაატარა.

— დედაქალაქური „ჩელსის" იტალიელი მეკარე კარლო კუდიჩინი ზედიზედ ოთხი ტურია, კარს მშრალად ინახავს.

— მეთოფეთა უკრაინელი მცველი ოლეგ ლუჟნი ორმოცდამეათედ გავიდა სასტარტო შემადგენლობაში, ხოლო „ფულემის" მცველმა რუფუს ბრევეტმა კარიერაში მე-500 მატჩი ითამაშა.

— საუთჰემპტონელმა ჯეიმს ბიტმა ბოლო ხუთ მატჩში მე-5 გოლი გაიტანა.

— ჩემპიონთა ლიგის და ლიგის თასის ჩათვლით რაიან გიგზმა 15 საგოლე პასი გააკეთა.

## ესპანეთი

— კატალონიური „ბარსელონას" საეჭვო პენალტით გამარჯვებამ თითქოს ცოტა მოულბო გული პრეზიდენტ ხუან გასპარს, თუმცა მისი ულტიმატუმი, თუ ნოემბრის თვეში გუნდის შედეგიანობა არ გაიზრდება, ვან გაალი კლუბს მეორედ დამშვიდობებაო, ძალაშია.

— ლუიშ ფიგუს პასმა, რომელსაც რონალდოს გოლი მოჰყვა, ამ უკანასკნელს შავი სერია შეაწყვეტინა — მას 458 წუთი გოლი არ გაეტანა. თუმც ბრაზილიელს უარესი შედეგიც ჰქონია. „ბარსაში" 509 წუთი გაატარა უგოლოდ, ხოლო „ინტერში" — 670.

— ფრანგმა ზინედინ ზიდანმა „რაიოსთან" ბოლომდე ვერ ითამაშა. იგი ზურგის აუტანელმა ტკივილმა შეაწუხა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზიდანი „გენკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩსაც გამოტოვებს.

— „ოსასუნას" არგენტინელი ლეგიონერი ლეონელ განსედო „მალაგასთან" გასვლით მატჩში არ ახლდა რადგან მან აეროპორტში დააგვიანა. მიზეზი საგზაო პოლიცია იყო. მას დაზღვევა არ აღმოაჩნდა და მართვის მოწმობა ჩამოართვეს, თუმც მწვრთნელს უთხრა, მოვიწამლეო. ტყუილისთვის კლუბი მას ან რამდენიმე ათასი ევროთი დასჯის ან რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაციით.

— „რაიომდე" „რეალს" შვიდი თვეა, გასვლითი მატჩი არ მოეგო. ბოლოს სტუმრად მადრიდელებმა 30 მარტს სევილიაში გაიმარჯვეს. ვერმოგებულ შეხვედრათა რაოდენობა კი 7 უტოლდებოდა.

— დანი გარსიამ და კარლეს პუიოლმა შესაბამისად 2006 და 2007 წლამდე გაიხანგრძლივეს კატალონიური კარიერა, ხოლო პუიოლის კონტრაქტის გამოსასყიდად მსურველმა გვარიანი თანხა, 180 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს.

## იტალია

— „უდინეზესგან" „ინტერის" ძლევის შემდეგ „იუვენტუსი" ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება. გასული სეზონიდან მოყოლებული „იუვეს" წაუგებელმა სერიამ 15 მატჩს უწია.

— „კიევომ" და „იუვენტუსმა" მიჯრით ოხ-ოთხი შეხვედრა მოიგეს. ვერონელი „მფრინავი ვირებისთვის" ეს შედეგი საკლუბო რეკორდი გახლავთ.

— ლილიან ტურამმა იტალიურ კარიერაში თავისი მეორე გოლი გაიტანა. გოლების ანგარიში მან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 5 წლის წინ გახსნა.

— „ემპოლიმ" გასვლით მატჩებში ოთხიდან ოთხჯერ იმარჯვა. აქამდე „ემპოლის" ოთხი სეზონი გაუტარებია მთავარ სერიაში და 64 საგარეო შეხვედრაში სულ ხუთი მოგება მოეძევებოდა.

— სინიშა მიხაილოვიჩმა ჩემპიონატში მეორე თერთმეტმეტრიანი გააცუდა. ჯერ „რომასთან", გასულ უქმეებზე კი „პარმასთან".

— „პიაჩენცა" „რომასთვის" ძვრატი კაკალია. რომაელებმა „პიაჩენცაში" ოთხი ფრე გაახერხეს და ამიტომაც დამარცხდნენ.

— „კომო", „რეჯინა" და „რომა" საკუთარ კარში გოლგაუშვებლად მოედანს არ ტოვებენ. ფაბიო კაპელოს გუნდს 9 ტურში ასეთი 14 დაუგროვდა. ეს შედეგი რომაელებისთვის უცუდესია მას შემდეგ, რაც სერია A გამარჯვებისთვის სამი ქულის დარიცხვის სისტემაზე გადავიდა.

— „ინტერი" პირველად დამარცხდა ამ სეზონში, მაგრამ უკვე ზედიზედ 22 მატჩია, „სან სიროზე" ერთი გოლი მაინც გააქვს. კრისტიან ვიერიმ მეშვიდე მატჩში მერვე ზუსტი დარტყმა მიითვალა.

— „რომას" წინააღმდეგ მეექვსე თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მოასწრეს მაშინ, როცა, „მილანის", „ლაციოს", „უდინეზესა" და „პიაჩენცას" კარში პენალტი არ დაურტყამთ.

***იტალიაში სატრანსფერო ფანჯრები ოფიციალურად იანვარში გაიხსნება, მანამდე კი კლუბების ხელმძღვანელები დაზვერვითი ოპერაციებით არიან დაკავებულნი:***

— მასიმო მორატის უთქვამს, თუ „აიაქსი" კრისტიან კივუს დამითმობს, 20 მილიონ ევროს თვალდახუჭული გამოვალო.

— „იუვენტუსი" და „მილანი" სამსამი ფეხბურთელის გაცვლაზე ფიქრობენ: კონტე-ამბროზინი, ფრეზი-როკე ჟუნიორი, ბირინდელი-ბროკი. ამასთან ორივე გუნდს თვალში მოსვლია „ლაციოს" ფეხბურთელები, სტანკოვიჩი და სტამი. „მილანიდან" წასვლას თურმე კრისტიან აბიატიც აპირებს მას შემდეგ, რაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

— გაბრიელ ბატისტუტას „რომასთან კონტრაქტი მომავალ ივნისში უმთავრდება. არგენტინელს უკვე შეეხმიანნენ ლონდონიდან „ჩელსი" და „ფულემი".

— „მილანში" ოლივერ კანის გადასვლის შესახებაც დაირხა ხმები. მიუნხენის „ბაიერნიც" თითქოს წინააღმდეგი არაა, განიხილება გაცვლის ასეთი ვარიანტი: კანი მილანში, კალაძე მიუნხენში.

**გაგა ხუციშვილი**





ლილიან ტურამმა მეორე ტურინული გოლი გაიტანა

# თხა იყოს, ტყუპი მოიგოს



შონ გოტერი

**32 წლის** შონ გოტერის ორი გოლით „მანჩესტერ სიტიმ" თანაქალაქელი „იუნაიტედი" დაამარცხა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი გამარჯვება არ იყო. ამ გამარჯვებას „სიტი" 13 წელი ელოდა.

გოტერს მეტსახელად „თხას" ეძახიან. იმტომ, რომ GOOT ინგლისურად თხას ნიშნავს, თუმცა ასეთი თიკუნი „თხას" ოდნავაც არ სწყინს.

გოტერი ბერმუდის კუნძულებიდან თვით „მანჩესტერ იუნაიტედმა" 19 წლის ასაკში თავისთან იახლა. მას გუნდის შემადგენლობაში ერთ ოფიციალურ მატჩშიც კი არ უთამაშია, ისე გადაისროლეს „როტერჰემში". იქიდან „ბრისტოლ როვერსში" გადაინაცვლა და სამი წელი იქ გაატარა. ერთი წელი ზურგის ტრავმის გამო გაუცდა, ბოლოს კი ისევ მანჩესტერში, ოღონდ „სიტში" დაბრუნდა.

„სიტიში" პირველივე სეზონში 21 გოლი მიითვალა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის ნახევარი ექიმებთან სიარულში გალია.

მომდევნო წლებში გოტერის მონაგარმა 29 გოლს უწია. მერე პრემიერლიგაშიც ალზევდა, თუმცა ზურგის ტკივილები არა და არ ასვენებდა. მან მხოლოდ რამდენიმე მატჩი ითამაშა და ოდენ 11 გოლს დასჯერდა, „სიტი" კი კვლავ პირველ დივიზიონში ჩაეშვა. იმ დროისთვის შონი 30-ის იყო, მაგრამ ალი ბენარბიასა და პაოლო ვანჩოპეს ასისტენტობით გუნდის 108 გოლიდან 32 საკუთარ ანგარიშზე გაიფორმა, რითაც ლეგენდარული ფრენსის ლის შემდეგ მეორე ფეხბურთელი გახდა, ვინც კლუბის ისტორიაში, ერთ სეზონში 30-ზე მეტის შეგდება მოახერხა. შონ გოტერს ორი ჰეთ თრიქი და ხუთი დუბლი დაუგროვდა.

კოსტარიკელი პაოლო ვანჩოპეს ტრავის გამო ის, ასაკის მიუხედავად, „სიტის" მეგოლეა და პრემიერლიგაში უკვე ოთხის გატანა მოასწრო. საერთოდ მოუსვენარი, მოძრავი კაცია. „სიტის" ფანების ერთ-ერთი შეძახილი შეიძლება ასე გადმოქართულდეს: „აჭამეთ ბურთი თხას და ის გოლს გაიტანს."

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მენოტი წავიდა, შენც წადი!

## არგენტინა

### აპერტურა

**მე-16 ტური:** რივერ პლეიტი — ლანუსი 1:2; არსენალი — ბოკა ხუნიორსი 0:1; კოლონი — ოლიმპო 3:0;ველესი — რასინგი 0:2; როსარიო — ნუევა ჩიკაგო 3:2; ესტუდიანტესი — ოლდ ბოიზი 3:3; ინდეპენდიენტე — უნიონი 1:0; ტალიერესი — ბანფილდი 1:1; ურაკანი — სან ლორენსო 0:4; ჩაკარიტა — ხიმნასია 2:0

**აპერტურას** ლიდერმა „ინდეპენდიენტემ“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ, რადგან შინ ერთი ბურთით, მაგრამ მაინც დაამარცხა „უნიონი“. შეხვედრის ერთადერთი გოლი ნახევარმცველმა ლუკას პუსინერიმ გაიტანა მე-14 წუთზე. იმავე კვირას გაიმარჯვა ლიდერთა უახლოესმა მდევარმა „ბოკა ხუნიორსმა“, რომელმაც ასევე 1:0 მოუგო „არსენალს“ მარსელო დელგადოს საჯარიმო დარტყმით. თუმცა პირველსა და მეორეს შორის სხვაობა კვლავ ექვსი ქულაა.

ბუენოს აირესში ამ უქმეებზე ერთი თამაშიც ჩაიშალა: გასავარდნად გამზადებული „ურაკანი“ შინ 0:4-ს აგებდა „სან ლორენსოსთან“ და გადარეულმა გულშემატკივრებმა თამაში ჩაშალეს. შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთიღა რჩებოდა და სტუმრები იგებდნენ როდრიგო ასტუდილიოს პეთ თრიქითა და პაბლო მიშელინის გოლით. არგენტინის ჩემპიონატის წესებით, ამ შეწყვეტილი მატჩის შედეგი ცხრილში მაინც შევიდა.

„ბოკასთან“ ერთად ლიდერის მადევარმა „რივერ პლეიტმა“ მშობლიურ „მონუმენტალზე“ წააგო „ლანუსთან“ 1:2 და მესამე ადგილზე დარჩა. მთელი სტადიონი „რივერის“ ჩილელი მწვრთნელის მანუელ პელეგრინის გადაყენებას და გუნდის სათავეში რამონ დიასის დაბრუნებას ითხოვდა. ამ გაზაფხულზე ხომ სწორედ დიასმა მოაგებინა „რივერს“ კლაუსურა. ამ შეხვედრაში კი სამივე გოლი „ლანუსის“ ფეხბურთელებმა გაიტანეს: როდრიგო მანარამ და ბუსტოს მონტოიამ მასპინძელთა კარში, ურუგვაელმა მცველმა სერაფინ გარსიამ კი საკუთარ კარში.

ახლა „ინდეპენდიენტეს“ 39 ქულა აქვს, „ბოკას“ 36, „რივერს“ კი მხოლოდ 30, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონი ვეღარც კი იბრძოლებს ტიტულის შესანარჩუნებლად.

ყველასთვის გასაოცრად მეოთხე ადგილზეა პატარა „ჩაკარიტა“, რომელმაც ამ ტურში 2:0 მოუგო ლაპლატელ გიმნაზიელებს.

„როსარიო სენტრალის“ მწვრთნელის პოსტიდან გასულ კვირაში გადააყენეს ლუის სესარ მენოტი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა ბრწყინვალედ დაიწყო აპერტურა, მაგრამ ბოლო ორ თვეში ერთი თამაშიც ვერ მოიგო.

უმწვრთნელო „როსარიომ“ ამ ჯერზე იმარჯვა, 3:2 მოუგო „ნუევა ჩიკაგოს“.



მარსელო დელგადო

### ონორიო ბუსტოს დომიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 16 | 12 | 3 | 1 | 43:16 | 39 |
| ბოკა ხუნიორსი | 16 | 10 | 3 | 3 | 27:13 | 33 |
| რივერ პლეიტი | 16 | 9 | 3 | 4 | 29:19 | 30 |
| ჩაკარიტა | 16 | 9 | 2 | 4 | 19:16 | 29 |
| სან ლორენსო | 16 | 7 | 5 | 4 | 26:19 | 29 |
| კოლონი | 16 | 6 | 7 | 3 | 21:21 | 25 |
| ოლდ ბოიზი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:19 | 23 |
|ველესი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:16 | 22 |
| როსარიო | 16 | 6 | 4 | 6 | 32:29 | 22 |
| არსენალი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:20 | 22 |
| რასინგი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:22 | 22 |
| ტალიერესი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:23 | 21 |
| ლანუსი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:20 | 21 |
| ბანფილდი | 16 | 4 | 7 | 5 | 17:15 | 19 |
| უნიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:24 | 16 |
| ესტუდიანტესი | 16 | 4 | 3 | 9 | 20:28 | 15 |
| ხიმნასია | 16 | 3 | 6 | 7 | 14:22 | 15 |
| ოლიმპო | 16 | 3 | 5 | 8 | 15:28 | 14 |
| ნუევა ჩიკაგო | 16 | 2 | 5 | 9 | 16:25 | 11 |
| ურაკანი | 16 | 2 | 4 | 10 | 17:38 | 10 |



კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრები ისევ ჩააბარა მთელს სამხრეთ ამერიკაში განთქმულ მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას და ორი რამ მოსთხოვა: 2004 წლის კოპა ამერიკაზე, რომელიც პერუში გაიმართება, ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება და 2006 წლის გერმანიის მუნდიალზე უეჭველად გასვლა

## სამხრეთული დარდუბალა

# მუსრის მუსრი გაავლეს

### ჩილე

კლაუსურას მორიგმა ტურმა გულშემატკივართა მოლოდინი ვერ გაამართლა. ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა, „კოლო კოლომ“ უგოლო ფრით დაასრულა შეხვედრა „უნივერსიდად დე ჩილესთან“. „უნივერსიდადის“ თავდამსხმელ პედრო გონსალესს შანსი ჰქონდა, ერთხელ მაინც შეერხია მოწინაალმდეგის კარის ბადე, მაგრამ დარტყმისას მუდამ სიზუსტემ უმტყუნებდა ხოლმე. მართალია, შეხვედრაში გოლი არ გასულა, მაგრამ მსაჯს მაინც საკმაოდ ჰქონდა საქმე. აბა, ისე როგორ იქნებოდა, ფეხბურთელებს ფერადი ბარათები არ დაეტყუათ მისთვის. ორივე გუნდმა ათი კაცით დაასრულა თამაში, რადგანაც „უნივერსიდადის“ კაპიტანი ლუის მუსრი და „კოლო კოლოს“ მანუელ ნეირა გააძევეს.

„უნიონ ესპანიოლასთან“ მიღწეული მორიგი გამარჯვებით კლაუსურას სატურნირო ცხრილში ლიდერის პოზიცია გაიმყარა „კობრელოამ“. შეხვედრაში გასული ერთადერთი გოლი ხოსე ლუის დიასის ანგარიშზეა, რომლის დარტყმულმაც რიგით მეცხრე გამარჯვება მოუტანა „კობრელოას“ ჩატარებულ 13 ტურში.

### კოლუმბია

აქ გამალებული ბრძოლაა გუნდებს შორის მეოთხედფინალში გასაღწევად, სადაც უკვე დაიგულეს თავი „კალიმ“ და „პასტომ“. პლეი ოფში „ამერიკის“ მოხვედრის შანსები გაიზარდა „მაგდალენასთან“ 3:1 გამარჯვების შემდეგ. ამ უქმეებზე ასევე მოიგო „ტოლიმამ“ „კალდასთან“ უგო არიეტას მიერ გატანილი ერთადერთი გოლით და „სანტა ფემ“ „ბუკარამანგასთან“ (3:2), „მედელინმა“ კი სატურნირო ცხრილის მეექვსე პოზიციაზე აინაცვლა საკუთარ მოედანზე „კვიდიოს“ დამარცხების შემდეგ.

### ურუგვაი

„დანუბიოს“ აშკარად მოუხდა ახალი მწვრთნელის, ხორხე ფოსატის ხელი. გუნდმა მისი ხელმძღვანელობით 19 ქულის მოპოვება შეძლო და კლაუსურას ცხრილის ლიდერად გვევლინება. „დანუბიოს“ დიდი შანსი აქვს, ჩემპიონის ტიტული იგდოს ხელთ, თუმც არც მოქმედი ჩემპიონი „ნასიონალი“ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. მან მორიგი გამარჯვება მოიპოვა „დეპორტივო მალდონადოსთან“ და ხუთი ქულით ჩამორჩება ლიდერს.

### პერუ

კლაუსურას დასრულებამდე სულ ოთხი ტურიღაა დარჩენილი. სატურნირო ცხრილის სათავეში კი „სპორტინგ კრისტალია“ დამკვიდრებული, რომელმაც ამ უქმეებზე წაუგებელ სერიას წერტილი დაუსვა და „ალიანსასგან“ მარცხი იწვნია სტუმრად. მასპინძელთათვის ამ გამარჯვებამ ნამდვილად სასიკეთო შედეგი გამოიღო, „ალიანსა“ შვიდი ქულითღა ჩამორჩება ლიდერ „კრისტალს“.

რაც შეეხება პერუს წლევანდელი ჩემპიონის ვინაობას, იგი აპერტურასა და კლაუსურას ჩემპიონთა შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, თუმც ადვილი შესაძლებელია, ეს თამაში საერთოდ არ შედგეს, რადგან აპერტურას გამარჯვებული „უნივერსიტარიო“ კლაუსურას სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზეა. მისი თამაშიდან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა, კლუბმა ოთხ ტურში მეოთხე ადგილამდე მაინც გადაინაცვლოს. ასეთ შემთხვევაში კი წესდების თანახმად, ჩემპიონის ტიტული კლაუსურას გამარჯვებულს ავტომატურად მიენიჭება.

### მექსიკა

აპერტურას მორიგ ტურში თვალსასეირო გამოდგა „ტოლუკასა“ და „გვადალახარას“ შეხვედრა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველ ტაიმში „გვადალახარას“ ფეხბურთელებმა სამჯერ დაამწუხრეს მოწინაალმდეგე, მაგრამ „ტოლუკამ“ მეტად მოინდომა და მეორე ტაიმში სამბურთიანი სხვაობა გაქვითა. აქედან ორი გოლი პარაგვაელი ხოსე კარდოზოს ანგარიშზეა, რომელმაც 27 ბურთის გატანა შეძლო 17 მატჩში. „ტოლუკა“ პირველ ჯგუფს ლიდერობს 38 ქულით. მას ფეხდაფეხ მისდევს „ამერიკა“. სწორედ ამ ორ გუნდს მიიჩნევენ სპეციალისტები მიმდინარე სეზონის ფინალისტებად. მათთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ „მორელიას“ თუ შეუძლია, რომელიც 30 ქულით მესამე ჯგუფის სათავეშია, მიუხედავად იმისა, რომ „ატლანტასთან“ 2:1 დამარცხდა.

# ვინ გადარჩება?

## ბრაზილია

**23-ე ტური:** გუარანი — ბაია 1:1; პორტუგეზა — ფლამენგო 1:2; კურიტიბა — პარანა 2:0; ბოტაფოგო — კორინთიანსი 2:1; გოიასი — ატლ. მინეირო 3:1; ჟუვენტუდე — ინტერნასიონალი 3:2; სანტოსი — პონტე პრეტა 1:3; გრემიო — სან კაეტანო 2:2; პაისანდუ — ფლუმინენსე 3:2; კრუზეირო — ატლ. პარანენსე 4:1; ვასკუ და გამა — ვიტორია 4:1

**ბრაზილიის** ჩემპიონატის გასრულებას და საპლეიოფო ეტაპის დაწყებას ბევრი არაფერი უკლია. 26-გუნდა ლიგაში დასარჩენად კვლავაც იბრძვიან წლეულს დაცემული სან პაულუელი და რიოელი გოლიათები.

ამ ტურში გაუმართლა ორ უძველეს და უდიდეს კლუბს. „ბოტაფოგომ“ ცარიელ მარაკანაზე 2:1 მოუგო მთელი სეზონი საუცხოოდ მოთამაშე „კორინთიანსს“, „ფლამენგომ“ კი ასეთივე ანგარიშით გასვლაზე სძლია „პორტუგეზას“.

„ბოტამ“ ნამდვილი ალყა მოუწყო სტუმრებს, თუმცა გამარჯვების გოლის ლოდინი თითქმის ას წუთს მოუხდა. მატჩის შედეგის გადამწყვეტი ბურთი ფაბიომ 98-ე წუთზე გაიტანა: კარის წინ ატეხილ რია-რიაში, ლუსიოს დარტყმული მეკარემ მოიგერია და დონის მიუვიდა, იმან კი ვერ სუფთად დაარტყა, ჭკვიანურად გაუგორა ფაბიოს.

ამ გამარჯვებით, „ბოტას“ 25 ქულა დაუგროვდა, და თუმცა „გამას“ გადაუსწრო, მაინც საომარი ექნება „პალმეირასთან“ და „ინტერნასიონალთან“. ბრაზილიის პირველობიდან ხომ ბოლო ოთხი გუნდი ვარდება. კლუბის უფროსობას მწვრთნელ კარლოს ალბერტო ტორესის იმედი აქვს, ამ გიჟმაჟმა კაცმა უკვე გამოაფხიზლა ფეხბურთელები.

| 19.00 | 315 | საუთენდი-ჰარტლპული | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 316 | საუთპორტი-ნოტსი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 19.00 | 317 | სტოკპორტი-სტ.ალბანსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 19.00 | 318 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 319 | ტორკი-ბორჰემი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 19.00 | 320 | ვოქსჰოლი-ქუინს პარკი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 19.00 | 321 | რექსემი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 322 | უიკომბი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 323 | იეოვილი-ჩელტენჰემი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 324 | იორკი-სუონსი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 21.35 | 325 | ჰერეფორდი-უიგანი | 4,4 | 3,6 | 1,6 | 1,98 | 1,17 | 1,1 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 326 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2,25 | 3,4 | 2,7 | 1,35 | 1,22 | 1,5 |

## საბერძნეთი. თასი. 1/16 ფინალი. II მატჩები.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 343 | პანიონიოსი-ირაკლისი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 344 | კრატიტონი-კალამატა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.30 | 345 | არისი-პატრაიკოსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |

## შოტლანდია. ლიგის თასი. 1/4 ფინალი.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 348 | ლივინგსტონი-დანდი იუნაიტედი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

## დანია. თასი. 1/8 ფინალი.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 349 | ორჰუსი-ვიბორგი | 3,8 | 3,5 | 1,7 | 1,82 | 1,17 | 1,14 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი. VI მატჩები.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.15 | 358 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 22.15 | 359 | ბარსელონა-გალათასარაი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 23.45 | 360 | დინამო-იუვენტუსი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 23.45 | 361 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 23.45 | 362 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 1,75 | 2,8 | 4,7 | 1,07 | 1,27 | 1,75 |
| 23.45 | 363 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.45 | 364 | ბაიერნი-ლანსი | 2,1 | 3,4 | 2,8 | 1,29 | 1,19 | 1,53 |
| 23.45 | 365 | მილანი-დეპორტივო | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |

## უეფას თასი. II წრე. II ეტაპი.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 369 | დენიზლი-სპარტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 370 | ჰაპოელი-ლიდსი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 20.30 | 371 | შალკე-ლეგია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 21.00 | 372 | ლევსკი-შტურმი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.30 | 373 | ბეშიქთაში-ალავესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 374 | ლიბერეცი-იფსვიჩი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 375 | ვიკინგი-სელტა | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 22.00 | 376 | ცრვენა ზვეზდა-ლაციო | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.30 | 377 | ანორთოსისი-ბოავიშტა | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 23.00 | 378 | პანათინაიკოსი-ფენერბაჩე | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 23.00 | 379 | სლავია-პარტიზანი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.05 | 380 | მიდტიულანდი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.15 | 381 | გრასჰოპერი-პაოკ | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 23.30 | 382 | ვერდერი-ვიტესი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.30 | 383 | ჰაკ-ნასიონალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.45 | 384 | ბლეკბერნი-სელტიკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.45 | 385 | ფულჰემი-დინამო(ზ) | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.45 | 386 | ვისლა-პარმა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,54 | 1,28 | 1,28 |
| 00.30 | 387 | ბეტისი-ვიბორგი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 01.30 | 388 | პორტუ-აუსტრია | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

## ჰოკეი. რუსეთი.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 601 | ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი | 2,9 | 4,7 | 1,65 | 1,79 | 1,05 | 1,22 |
| 16.30 | 602 | ხიმიკი-კრილია | 1,8 | 4,7 | 2,5 | 1,3 | 1,04 | 1,63 |
| 16.30 | 603 | ავანგარდი-ამური | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,11 |
| 17.30 | 604 | მოლოტი-ლადა | 3,5 | 4,7 | 1,5 | 2 | 1,04 | 1,13 |
| 19.30 | 605 | სევერსტალი-მეჩელი | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,11 |
| 19.30 | 606 | აკ-ბარსი-მაგნიტოგორსკი | 3,4 | 5,0 | 1,5 | 2,02 | 1,04 | 1,15 |
| 19.30 | 607 | დინამო-ს.იულაევი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 19.30 | 608 | სპარტაკი-ცსკა | 2,2 | 4,7 | 2,1 | 1,49 | 1,07 | 1,45 |

## ჰოკეი. გერმანია.

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 666 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 22.30 | 667 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 22.30 | 668 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 669 | აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 22.30 | 670 | ფრაიბურგი-კასელი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 671 | დიუსელდორფი-შვენინგი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 23.00 | 672 | კრეფელდი-ბერლინი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |

## კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 782 | შლიონსკი-ულქერი | 2,2 | 12,0 | 1,5 | | | |
| 21.30 | 783 | პანათინაიკოსი-უნიკახა | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 21.30 | 784 | ციბონა-ბარსელონა | 1,9 | 12,0 | 1,7 | | | |
| 23.30 | 785 | პარტიზანი-ვილერბანი | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 23.30 | 786 | ბენეტონი-სკავოლინი | 1,4 | 12,0 | 2,6 | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 787 | ეფესი-პაუ | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.00 | 788 | ალბა-პო ორტეზი | 1,8 | 12,0 | 1,8 | | | |
| 23.00 | 789 | მაკაბი-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 | | | |
| 23.30 | 790 | ტაუ-ჯალგირისი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 23.30 | 791 | სიენა-ოლიმპია | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 23.30 | 792 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 23.30 | 793 | კინდერი-ცსკა | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.15 | 2009 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 2,5 | 2,15 | 3,5 | 1,15 | 1,45 | 1,33 |
| 22.15 | 2010 | ბარსელონა-გალათასარაი | 2,3 | 2,2 | 4,0 | 1,12 | 1,46 | 1,41 |
| 23.45 | 2011 | დინამო-იუვენტუსი | 2,3 | 2,2 | 4,0 | 1,12 | 1,46 | 1,41 |
| 23.45 | 2012 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 2,6 | 2,15 | 3,4 | 1,17 | 1,47 | 1,31 |
| 23.45 | 2013 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 23.45 | 2014 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 23.45 | 2015 | ბაიერნი-ლანსი | 2,6 | 2,2 | 3,3 | 1,19 | 1,45 | 1,32 |
| 23.45 | 2016 | მილანი-დეპორტივო | 2,9 | 2,2 | 3,0 | 1,25 | 1,47 | 1,26 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| დრო | № | მატჩი | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | |
| 22.15 | 2209 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 1,9 | 1,7 |
| 22.15 | 2210 | ბარსელონა-გალათასარაი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2211 | დინამო-იუვენტუსი | 1,85 | 1,75 |
| 23.45 | 2212 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2213 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 23.45 | 2214 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 1,95 | 1,65 |
| 23.45 | 2215 | ბაიერნი-ლანსი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2216 | მილანი-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| დრო | № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | |
| 22.15 | 2309 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2310 | ბარსელონა-გალათასარაი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2311 | დინამო-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2312 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2313 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2314 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2315 | ბაიერნი-ლანსი | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2316 | მილანი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| დრო | № | მატჩი | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | |
| 22.15 | 2509 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2510 | ბარსელონა-გალათასარაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2511 | დინამო-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2512 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2513 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2514 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2515 | ბაიერნი-ლანსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2516 | მილანი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგებულად ჩაითვლება)

| დრო | № | მატჩი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | |
| 22.15 | 2409 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 1,8 | 2,0 |
| 22.15 | 2410 | ბარსელონა-გალათასარაი | 1,65 | 2,3 |
| 23.45 | 2411 | დინამო-იუვენტუსი | 1,65 | 2,3 |
| 23.45 | 2412 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2413 | მანჩესტერი-ლევერკუზენი | 1,65 | 2,3 |
| 23.45 | 2414 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 1,55 | 2,5 |
| 23.45 | 2415 | ბაიერნი-ლანსი | 1,75 | 2,1 |
| 23.45 | 2416 | მილანი-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| თარიღი / დრო | № | ჩემპიონატი | ნაკლები | მეტი |
|---|---|---|---|---|
| 16.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (X ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (X ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |
| 14.11 22.00 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XV ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9, | 24 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 01.00 | 2606 | პორტუგალია Iდ. (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| დრო | № | მატჩი | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | | | | |
| 22.15 | 2109 | ლოკომოტივი-ბრიუგე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 22.15 | 2110 | ბარსელონა-გალათას. | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2111 | დინამო-იუვენტუსი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 2112 | ფეიენოორდი-ნიუკასლი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 2113 | მანჩესტერი-ლევერკუზ. | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.45 | 2114 | ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | 2115 | ბაიერნი-ლანსი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 2116 | მილანი-დეპორტივო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ? კორპუსი

პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I³ კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი წრე

*კვირას მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მიილია. ასეთ დროს უპრიანია განვლილის დაჯამება და გარკვეული დასკვნების გამოტანა, უფრო კი რაიმე ახლის თქმა, ისეთის, რაც დღევანდელობას უწინდელისგან გამოარჩევს, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის სიახლეებზე თუ ვილაპარაკებთ, მხოლოდ მის გარეგნულ იერსახეზე უნდა ვთქვათ, რადგან დონე ვინძლო ძველებურზე უარესიც კი იყოს*

# დინამოს დონე ფულია

## კალათბურთი თბილისიდან გავიდა

**და მაინც,** ეს ტურნირი კარგია თუ ცუდი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატია და წრემოლეულზე ორი სიტყვის თქმას მარტო სახელწოდების გამო მაინც იმსახურებს. ჩვენც ვთქვათ, რა გამოვარჩიეთ პირველი წრის 36 მატჩში, მაგრამ ერთხელაც დავძენთ, გასაგები მიზეზების გამო თამაშის ხარისხზე ამ წერილში საუბარი არ იქნება.

პირველ რიგში სახეცვლილ ფორმატზე ვთქვათ. კალათბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ტურნირი უეჭველად უფრო საინტერესო იქნებოდა. ოთხწრიანი რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ 9 მონაწილესგან 8 საუკეთესო პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაერთვება პლეი ოფში.

ოქროსმაძიებლებზე საუბრის დაწყება „დინამოთი" გვმართებს, რომლის ალორძინებაც ამ ჩემპიონატის მთავარი სიახლეა. სიტყვა „ალორძინება" არ გეჩოთიროთ, რადგან ის უპირველესად ფინანსურ წელგამართულობას გულისხმობს — უფულოდ, არც შედეგი იქნება. ამ მხრივ კი „დინამოს", კარგად ჩანს, ყველაზე მეტად ულხინს. ბადრი პატარკაციშვილის მხარდაჭერით ლევან მოსეშვილის გუნდს შიდა ჩემპიონატში არაფერი აკლია და პირველი წრეც ისე გაისეირნა, დიდი წინააღმდეგობა არ უგრძვნია.

ზოგ აქამდელ ჩემპიონებზე უთქვამთ, „ეროვნული ნაკრებიაო". ჯერ „ვითა", შემდეგ კი „ბასკო" კრებდნენ უძლიერეს შემადგენლობებს. მაგრამ ახლანდელი „დინამო", მგონი ორივეს აჭარბებს. იმათ ცუდი თუ კარგი კონკურენტები მაინც ჰყავდათ, ამ „ნაკრებს" კი 14 ქულაზე ნაკლებით მიახლოვება ჯერ ვერავინ შეძლო.

გამოდის, ბოლო სამი წლის უცვლელ ჩემპიონ „ბასკოს" ტიტულის დათმობა მოუწევს. კარგი მწვრთნელია ნუგზარ კანდელაკი, მაგრამ ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდით, ალბათ, ვერაფერს დააკლებს გამოცდილი და უკვე დალეინებული მოთამაშეებით მოთამაშე „დინამოს", აკი „ბასკომ" პირველ წრეში 27-ქულიანი მარცხი იწვნია მოსეშვილის გუნდისგან.

ერთადერთი, რისიც ბათუმელებს შეიძლება ეიმედებოდეთ, ლეგიონერებია. „ბასკოს" ამ მხრივ მცირე კოზირი უპყრია „დინამოს" წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის დებულების თანამხად, ერთ კლუბს მაქსიმუმ ოთხი უცხოელის ყოლის უფლება აქვს, ეს ლიმიტი კი ლევან მოსეშვილის გუნდმა უკვე ამოწურა: სომეხ არმენ ოგანესიანს, კამერუნელ ამედ მუპესა და ლიტველ ტომას ვენსკუნასს ახლახან იუგოსლაველი იოვან სიროვინაც შეემატათ. კანდელაკს კი 16-კაციან განაცხადში სამი ადგილი შემოუნახავს და 1 თებერვლამდე მისი შევსება ლეგიონერებითაც შეუძლია.

შეიმატებენ თუ არა ბათუმელები ერთ ლეგიორენს მაინც, ეს ჯერ უცნობია. ამასთან, „ბასკოს" ერთ-ერთი ძლიერი იარალი შინაური კედლებია, სადაც ზღვისპირელები შექმნის დღიდან დღემდე არ დამარცხებულან. ამ ჩემპიონატში ბათუმი „ბასკოსთან" ერთად „ქუთაისის" თამაშებსაც მასპინძლობს. ამიერიდან კი თბილისურ კლუბებს რუსთავშიც მოუწევთ ჩასვლა, სადაც ამ შაბათს ბათუმზე არანაკლებ კოხტა დარბაზი გაიხსნა. ასე რომ, ბოლო წლებში ორ ქალაქში „გამოკეტილმა" საქართველოს ჩემპიონატმა მეტალურგთა ქალაქშიც შეაბიჯა.

რეგიონის გუნდების საკუთარ სარბიელზე თამაში, რა თქმა უნდა, საქართველოში კალათბურთისადმი ინტერესს გაალვივებს და ამასთან, საჩემპიონატო მატჩებიც უფრო დაიძაბება. პირველი წრე კი ინტრიგებით ერთობ ღარიბი იყო, რაც ალბათ მოთამაშეთა სეზონისშუა ტრადიციული გადანაწილებისას გუნდების არათანაბარ პირობებში ყოფნის ბრალია. შეძლებული და შეუძლო კლუბები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ამ ზაფხულს რაც რამ კარგი მოთამაშეები მოიძევებოდნენ ქართულ საკალათბურთო ბაზარზე, ჩვენი ჩემპიონატისთვის ვეება ხელფასებისა თუ სხვა საცთურების წყალობით, „დინამომ" მიიზიდა. „ბასკომ" იხელმოკლა, ჩემპიონობის გამომჭედავ ამერიკელებს — ჯეფ როჯერსს და ნიკ დილონს შეელია და ადგილობრივი კლუბებიდან სათითაოდ აკრიბა შედარებით ნაკლებ ხელფასზე დაყაბულებული კალათბურთელები.

სხვა ფავორიტებზე კი რა ითქმის, ტექნიკურ და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს ურიგო შემადგენლობები არ ჰყავთ, მაგრამ, „ბასკოსი" არ იყოს, ჯერჯერობით არც მათ მიუწვდებათ „დინამოზე" ხელი. თსუ-ს ბირთვი კარიერის დასასრულსმიტანებული მოთამაშეებია, ბრინჯაოსმედალოსან სტუ-ს კი არ ჰყავს შარშანდელზე ძლიერი შემადგენლობა.

ზემოთ ნახსენები ოთხი გუნდი (დინამო, ბასკო, თსუ, სტუ) და მათთან ერთად „აზოტიც" სხვებთან შედარებით არიან ძლიერები, თორემ მათ შორის კლასში არსებული ზღვარი პირველმა წრემაც კარგად გამოაჩინა. ამ გუნდების ერთმანეთში ნათამაშევი მატჩებიდან მხოლოდ სტუ — თსუ-ში დაფიქსირდა 5-ქულიანი სხვაობა, ისიც ტექნიკოსთა ბრალია, თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 21 ქულას იგებდნენ და თსუ-ელებს ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს. დანარჩენ შეხვედრებში კი სხვაობა 14 ქულაზე დაბლა არ ჩამოსულა. „დინამომ" ყველა შეარცხვინა, „ბასკომ" — ყველა „დინამოს" გარდა. ასე რომ, ცხრილის მოთავეთა შორის საყურებლად ვარგისი მატჩი პირველ წრეში ფაქტობრივად არ ყოფილა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ინტერესი უფრო აუტსაიდერთა თამაშებს ხდევდა, რომელთა შორისაც კალათბურთის აკადემიის გუნდი რომ არ ყოფილიყო, არც ეს ვაი-დაძაბული შეხვედრები გაიმართებოდა.

„აკადემია" დებიუტანტია და არ გაგიკვირდეთ, ჩვენი აზრით, ამ ჩემპიონატის ყველაზე ნათელი წერტილია. დავით უსტიაშვილის გუნდმა პირველ წრეში ყველა მატჩი წააგო და შესაძლოა, მისთვის პირველი ეროვნული მოუგებლადაც ჩაამთავროს, მაგრამ „აკადემიას" საკუთარი აღსაზრდელებით წინსვლისა და ბეჯითად სწავლის შემთხვევაში ბევრის მიღწევის პერსპექტივა აქვს. ჩემპიონატში მონაწილეთა უმრავლესობას თავისი სიტყვა, უკვე ნათქვამი აქვთ, აკადემიელები კი ახალთაობელები და როგორც პირველ წრეში გამოჩნდა, საკმაოდ პერსპექტიულებიც არიან. ასე რომ, თუ ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონე ანაღვლებთ, შეძლებულმა კლუბებმა, უმჯობესია, ახალთაობის აღზრდაზე დახარჯონ ფული და არა საკუთარ ქვეყნებში უვარგის, გადაბერებულ უცხოელთა ჩამოყვანაზე. აღზრდაზეც ხარჯავენ, მაგრამ მხოლოდ დახარჯვა არაფერია, საქმის მცოდნე ხალხია საჭირო...

24 ნოემბერს კი მეორე წრე იწყება.

**ირაკლი ბერტაია**



შეუნარჩუნებს „ბასკოს" ჩემპიონობას ნუგზარ კანდელაკი?

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | +213 | 16 |
| ბასკო | 8 | 7 | 1 | +224 | 15 |
| სტუ | 8 | 6 | 2 | +164 | 14 |
| აზოტი | 8 | 5 | 3 | -12 | 13 |
| თსუ | 8 | 4 | 4 | +27 | 12 |
| მაკაბი | 8 | 3 | 5 | -132 | 11 |
| ქუთაისი | 8 | 2 | 6 | -104 | 10 |
| სსუ | 8 | 1 | 7 | -204 | 9 |
| აკადემია | 8 | 0 | 8 | -176 | 8 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



პოლ პირსმა ერთხელაც მოაგებინა „ბოსტონს"

# შეიცანი და დაიცავი თავი

## ნელსონმა ყველაზე მაღალი ააყენა

11 ნოემბერი

**დალასი 82:73 პორტლენდი**
**დალასი:** ნოვიცკი (26), ფინლი (21)
**პორტლენდი:** ვოლესი (14)

**ბოსტონი 112:96 იუტა**
**ბოსტონი:** პირსი (35), უოლკერი (27)
**იუტა:** მელოუნი (20)

**მემფისი 101:108 გოლდენ სტეიტი**
**მემფისი:** გასოლი (24), გირიჩეკი (21)
**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (37)

**სან ანტონიო 91:76 მინესოტა**
**სან ანტონიო:** დანკანი (20), კერი (17)
**მინესოტა:** ნესტეროვიჩი (16), გარნეტი (14)

„დალასით" დავიწყოთ. ამ გუნდმა სეზონი შესანიშნავად დაიწყო და თუ რიტმი შეინარჩუნა... თუმც ტეხასელები მომავალში რას იზამენ, ეს ახლა ძნელი განსასჯელია, ამიტომ მხოლოდ კარგად დაწყებაზე ვთქვათ.

„მავერიკსი" ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია და მას ვერც „პორტლენდმა" დააკლო რამე, თუმც კი ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია, დონ ნელსონის შეგირდებს და გვარიანადაც ანერვიულა „დალასის" ავადმყოფურად მგრძნობიარე პატრონი მარკ კუბანი.

„დალასმა" წინა ექვსი მეტოქე ისე გადაყლაპა, მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა 3-ქულიან ჩამორჩენაში, ანუ პრაქტიკულად ყველასთან და ყოველთვის ფლობდა უპირატესობას. „პორტლენდთან" კი სხვანაირად გამოვიდა, ამ გუნდს შიდააშლილობა ღრღნის, თუ იქაური ძველი ბიჭები თამაშის იმტაზე არიან, მეტოქეს დიდი ჯაფა აწევს. „დალასთანაც" ისე დაემთხვა, ჩრდილოელებს მოგება გადაეწყვიტათ და ბეჯითად მუშაობდნენ. 20:16 მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ „პორტლენდი" ერთი ხანობა 13 ქულითაც დაწინაურდა და „დალასმა" დამწვრის სუნი იყნოსა.

მასპინძლებმა დროულად მიხედეს თავს, დაცვაში დალაგდნენ და ჩვეულად უკანმოუხედავი შეტევის ნაცვლად მოედნის საკუთარი ნახევრიდან დაეხსნენ თავს მომხდურთ. ამ სეზონში „დალასს" უკეთ გამოსდის დაცვაში თამაში, რაც თანამედროვე პრაგმატული ბურთაობის ხანაში ყველა კარგად თუ ცუდად ცნობილ სპეციალისტს წარმატების მთავარ წინაპირობად ულიარებია. მას შემდეგ, რაც ტეხასელებს მობილური თავდამსხმელ-ცენტრი რიფ ლაფრენცი დაუშავდათ, ნელსონმა სკამიდან ააყენა აყლაყუდა შონ ბრედლი, რის გამოც „მავერიკსის" ცეცხლოვანი ხუთეული დამძიმდა და შეტევაში სიზანტე შეეპარა. სამაგიეროდ, როცა ნბა-ს ყველაზე მაღალი მოთამაშე 228-სანტიმეტრიანი ბრედლი ფარქვეშ გაბოტილა, იქ ისე თავხედურად ვეღარ თარეშობენ მეტოქეთა ჩაუქები. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და თუ ნელსონი პლეი ოფშიც ასე ხელგაშლილად ათამაშებს ბრედლის, მაშინ... თუმცაკი ზემოთ შევთანხმდით, რომ მომავალს არ შევეხებოდით.

„პორტლენდთან" ბრედლიმ 10 ქულასთან ერთად 18 მოხსნა და სამი დაფარებაც მიითვალა. დაცვაში ივარგა დალასელთა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმაც (17 მოხსნა, 6 ჩაჭრა) და მასპინძლებმა უკვე მესამე მეოთხედში გამოასწორეს საქმე. შეტევაში სივრცეშეზღუდულ „პორტლენდს" უჭირდა ქულების დაგროვება, მესამე მეოთხედში მხოლოდ 12 ჩააგდო, საკუთარ კალათში კი 28 მიიღო და იკადრა მეტოქის ძლიერების აღიარება.

„არ იფიქროთ, მხოლოდ ამ თამაშში გამოვიყენე დაცვა. ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ჩვენ კიდევ დავხვეწთ დაცვაში თამაშს." — ამბობს ნელსონი. ეს კაცი ყოველთვის ლაღი შეტევის ტრფიალი გახლდათ და ვერ გეტყვით, ამ სიბერეში (61 წლისაა) რამ გადაუტრიალა გონება.

ზედიზედ მეხუთე შეხვედრს აათალა სკალპი სეზონის ორი საწყისი მატჩის წამგებმა „ბოსტონმა". პოლ პირსი ფორმაში შედის, „იუტასაც" 35 ქულა უთავაზა. ის და მისიანები კატათაგვობანას ეთამაშნენ კარლ მელოუნსა და ჯონ სტოქტონს, თან ისე თავხედურად, რომ არად ჩააგდეს ამათი ნაოჭ-ჭაღარა, პირველი მეოთხედი 29:14 მოუგეს, მერე ლაბუც-ზლანდარობაში მეორე 12:31 წააგეს, რასაც 13 ქულით მოგებული მესამე თორმეტწუთელი მოაყოლეს. სტუმრებს ბებრებსაც და ახალგაზრდებსაც ცხრაპირი ტყავი გასძვრათ პირსიანთა დევნაში და საბოლოოდ ძველი და ახალთაობელი იუტელებიც შერცხვნენ. მოხუც სტოქტონს 9 ქულა დაუგროვდა, ყმაწვილ კირილენკოს კი — ოთხი. ყველაზე მხნედ მაინც მელოუნი გამოიყურებოდა თავისი 20 ქულით. ჩვეულებრივ ანჩხლმა „მეილმენმა" (მელოუნის მეტსახელია) ნამატჩევს თავს მაინც დააძალა და ორი თავაზიანი სიტყვა თქვა: „ასეთ დროს ყველა ცდილობს, ჩასვრილი საქმე ვილაცას გადააბრალოს, მაგრამ მე რა ვთქვა, როცა თავად ოთხჯერ დავკარგე ბურთი".

მძიმე დებიუტის შემდეგ გონს მოსვლა უჭირს „მემფისს" და პირველი გამარჯვების წყურვილით დამხერჩვალი ამაოდ ეპოტინება მეტოქეებს. არაფერი გამოდის, აგერ, თვით „გოლდენ სტეიტმაც" ჩაარტყა თავისი წილი წიხლი ჩაჩოქილ „დათვს".

**ირაკლი ფირცხვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეწყვეტილი სერენადა

## ლეიტონას ქალო, რა მაგარი ხარო! რა პატარაა ასეთი დიდი



REUTERS

კიმ კლაისტერსი

**WTA-ს ჩემპიონატი**
ლოს ანჯელესი
საპრიზო 3 მილიონი $

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) — სერენა უილიამსი (1, აშშ) 7:5, 6:3**

ბევრი ვიაზროვნე თუ ცოტა ვიარსებე, ვერ იქნა და კარგა ხანი ამ ოპუსის შესავალს თავი ვერ მოვაბი. აქეთ იმის თქმა მსურდა, რომ დასტურ სენსაციის მომსწრენი შევიქენით, იქით კიდევ იმისა, რომ ამ სენსაციას თავისი საფუძველიც ჰქონდა, რაკილა წლის განმავლობაში აქამდე მხოლოდ ოთხჯერ ძლეულ სერენა უილიამსს მთელი ოქტომბერი ეუქმა და განესვენა, კიმ კლაისტერსს კი სწორედ ამ ოქტომბრის მსვლელობისას ორ — ფილდერშტადტურსა და ლუქსემბურგულ ტურნირებზე ემარჯვა. მოკლედ, უკეთესი რომ ვერაფერი ვიაზრე, გადავწყვიტე, თხრობა სულაც უშესავლოდ დამეწყო.

წლის მეოთხე, ხოლო კარიერის მეცხრე ტიტულის მოთვლას — და საოქტომბრო ტურნირებამდე ლეიტონ ჰიუიტის 19 წლის ბელგიელ ნანდაურს აღრემაისში ჰამბურგულ ტურნირზეც ემარჯვა — ფუმფულა კიმმა მხოლოდ 85 წუთი მოანდომა. ეს ერთის მხრივ მისმა აგრესიულმა, უშიშარმა ჩოგნაობამ განაპირობა — მან სერენას პირველ მოწოდებათა 47 პროცენტის მოგება შეძლო და თუმც 7 ორმაგი შეცდომა დაუშვა, საკუთარ მოწოდებაზე მაინც საუცხოოდ ირჯებოდა; მეორეს მხრივ კი სერენამ 44-ჯერ უნებლიედ მიჰქარა და საერთოდაც უჩვეულოდ ულაჯოდ და უხალისოდ გამოიყურებოდა.

ამიტომაც იყო, ნაფინალევს უმცროს შავდას სწორედ იმას რომ დაეკითხნენ, ჯენიფერ კაპრიატისთან სამსეტიანმა სანახევარფინალო ბულრაობამ ხომ არ გადაგღალაო, რაზეც სერენამ ასე მიუგო: „აბა, რა გითხრათ? შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება არც იყოს ასე. უეჭველად მხოლოდ ის ვიცი, რომ კიმმა დღეს დიდებულად ითამაშა და არ ეგების, ვინმემ მას გარჯა დაუკარგოს. მან დამსახურებულად გაიმარჯვა და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. და მე ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც იმის გამო მოხდა, რომ ჯენიმ გუშინ მაგრად მომღალა".

საკუთრივ მატჩი კი ასე მიმდინარეობდა: სერენამ პირველსავე გეიმში მოახერხა, კიმისთვის მისი მოწოდება წაემურდლა. პირველ სეტში მან ეს მეორედაც შეძლო, მაგრამ ჩახმახივით შემართულმა ბელგგოგომ დაკარგული ორჯერვე დაიბრუნა. სეტის და ალბათ მატჩის ბედიც სერენას მიერ მოსაწოდებელ მეთორმეტე გეიმში გადაწყდა, როცა ანგარიში 6:5 იყო კიმის სასარგებლოდ. სერენა 40:0 დაწინაურდა და ერთი ქულაღა აკლდა, სეტი ტაიბრეიკში რომ გადაეყვანა, მაგრამ კლაისტერსი გაშმაგდა, მეტოქეს გალმა გაედავა და უკულმა დატრიალებული ჩარხი წალმა შეიბრუნა. შედეგად — პირველი მოწოდებიდან 53 წუთის თავზე 1:0 იგებდა და უკვე მეორე სეტის პირველ ბურთს აწვდიდა. მეორეში მან ხერენა მეექვსე გეიმში გატეხა და მატჩის ბოლომდე მერე ჩოგანი აღარ აკანკალებია...

კლაისტერსი: „ეს ჩემი უდიდესი გამარჯვებაა და ალბათ ვერავინ წარმოიდგენს, თუ რა გრძნობები მეძალება ახლა. ეს დაუჯერებელი რამეა... თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ამ ბოლო წლებში ვინუსმა და სერენამ, თუ რა ბრწყინვალედ თამაშობენ ისინი. მე ვფიქრობ, ეს სხვა მოთამაშეთათვისაც კარგი მაგალითი იქნება — ჩვენება იმისა, რომ მათთანაც შეიძლება თანაბრად პაექრობა. ჩემი ეს გამარჯვება ალბათ ბევრ იმედგადაწურულ გოგონას შეაგულიანებს... ყველანაირად ვცდილობდი, ბურთი როგორმე მის მხარეზე დამებრუნებინა, ჩემი უმთავრესი ამოცანა ის იყო, სერენას რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაეშვა. მას სწორედ ასე უნდა ეთამაშო. მე კი უსიკვდილოდ მინდოდა მოგება — ერთხელ ხომ მაინც უნდა გამემწარებინა... სხვაფრივ რა — ჯერ მხოლოდ 19 წლის ვარ და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუკი როდესმე შევძლებდი აი, ასე, გამარჯვებული ვმჯდარიყავი თქვენს წინაშე და ამდენი მელაპარაკა... გამოჩენილობა არ არის ჩემი მიზანი, მე უბრალოდ ვიცი, როგორ უნდა ჩოგბურთის თამაში და რაც მთავარია, მე ვთამაშობ ჩოგბურთს, რადგანაც მსიამოვნებს ამის კეთება".

მე კი თქვენთვის რამდენიმე ფაქტის შეხსენება მეამება. სახელდობრ, იმისა, რომ მათ 5 აქამომდელ შეხლაში კიმს სერენა ერთხელაც ვერ დაემარცხებინა და, რომ ის მხოლოდ მეოთხე ქალი გახდა, ვისაც შავდათა ერთ ტურნირზევე ძლევა გამოუვიდა. ამ მეორე ფაქტს ვერც ის ამბავი გააფერმკრთალებს, რომ ფეხნატკენმა ვინუსმა კიმთან მხოლოდ ხუთი გეიმი გაძლო. ხოლო ვინმეს თუ კიმის ყველაზე დიდი სასლემო წარმატება გაინტერესებთ, ეგ შარშან იყო, როცა ჯერაც 18 წლისამ როლან გაროსის ფინალს უწია და იქ ჯენი კაპრიატისთან სამსეტიანი დავლურის შემდეგ დამარცხდა.

ჰო, მართლა — ლოს ანჯელესურ გმირობათა სამუქფოდ კლაისტერსთა ოჯახის ბიუჯეტი ერთბაშად 765 ათასი დოლარით გამდიდრდება. რაც შეეხება „გამწარებულ" სერენას, ის მართლაც გამწარებული გახლდათ — წლეულს სამი სლემტურნირის ამკლები და ჯამში 8 ტიტულის მომჭირნახულევი, ნამატჩევს ცრემლს ძლივს იკავებდა და ასე სევდიანად საუბრობდა:

„კარგი იქნებოდა, აქ უკეთ გამოვსულიყავი, მაგრამ, ეჰ, წელი ცუდი ისედაც არ ყოფილა. ბოლო-ბოლო, სამი ბობოლა ტურნირი მოვიგე. უმთავრესი ის იყო, უიმბლდონსა და აშშ-ის ღია პირველობაზე მემარჯვა... ახლა ქალთა მთავარმეჩოგნე ვარ და ვფიქრობ, საწუწუნოც არაფერი უნდა მქონდეს. ეგეც არ იყოს, აქ თავიდანვე ურიგოდ ვთამაშობდი, ალბათ იმითაც უნდა ვიყო კმაყოფილი, ფინალამდე რომ გავაღწიე, მაგრამ რატომ მოგატყუოთ — თავს ახლა ისე ვგრძნობ, თითქოს 98 წლის ბებრუხუნა ვიყო. ჩემში თითქოს ყველაფერი დაინგრა და ახლა ერთი სული მაქვს, შინისაკენ გავუტიო. მე ახლა ძალიან ახალგაზრდა სხეულის მქონე ძალიან ხანდაზმული ქალბატონი ვარ... მეორეს მხრივ — ალბათ მაინც კარგია, რომ აქ მოგება ვერ შევძელი. ამის გამო ავსტრალიის ღია პირველობისთვის მეტი გახელებით მოვემზადები. შარშან ავსტრალიაში რომ ვერ ვითამაშე, ამან ისე დამქოქა, რომ მერე მთელი წელი ველარ გამაჩერეს. აი, ასე — ხანდახან ერთი ნაბიჯი უკან უნდა გადავდგა, რათა მერე უფრო და უფრო წინ წავიდე".



REUTERS

სერენა უილიამსი

ამის შემდეგ მხოლოდ იმის თქმაღა დამრჩენია, რომ ლოს ანჯელესში სერენამ დაკარგა შანსი, გამხდარიყო პირველი ბანოვანმეჩოგნე, ვისაც კი ჩოგნის ქნევით ერთი სეზონის განმავლობაში 4 მილიონ დოლარზე მეტის მონაგერა მოჰხერხებია. ისე კი — მას უკვე 18 მატჩი აღარ წაეგო და, ეგებ გახსოვდეთ, ბოლოჯერ ლოს ანჯელესშივე, ციცქნა ჩანდა რუბინთან საგვისტო ტურნირის მეოთხედფინალში წაიფორხილა.

ასეა თუ ისეა, ცრემლიანია თუ მოტივირებულია, მაგრამ მამა რიჩის 21 წლის გოგონა სეზონს წლეულს პირველად გაასრულებს ქალთა რეიტინგსიის სათავეში. ასე რომ, უფროსი შავდისა არ იყოს, საახალწლო ინდაურს ისიც სინდისიც უქენჯნელად უნდა მიაძლეს.

**MASTERS CUP შანხაი. საპრიზო 3.7 მილიონი $**

# ესპანური ფორმულა: სამი მინუს ორი

## არმადის ღირსება მხოლოდ მოიამ დაიცვა

**წითელი ჯგუფი**

**კარლოს მოია (ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 7:5; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:3**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კარლოს მოია | 1 | 1 | 2 | 13 |
| ლეიტონ ჰიუიტი | 1 | 1 | 2 | 16 |
| ალბერტ კოსტა | 1 | 0 | 1 | 11 |
| მარატ საფინი | 1 | 0 | 0 | 9 |

**ოქროს ჯგუფი**

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3, 6:4**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| როჯერ ფედერერი | 1 | 1 | 2 | 12 |
| ანდრე აგასი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ირჟი ნოვაკი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხუან კარლოს ფერერო | 1 | 0 | 0 | 7 |

შენიშვნა: პირველ გრაფაში თამაშები; მეორეში მოგება; მესამეში სეტი; მეოთხეში გეიმი

შანხაიურ რვაკაცა მასტერსთასზე ჩასული ზეპური კაცმეჩოგნენი მთელი ორშაბათი იქაურ დიდმოხელე-მანდარინთა ეშხიანი ტრადიციული სამოსლით დაყელყელაობდნენ. შანხაელებსაც და იქ შეკრებილ რაგინდარა მილეთსაც ამ ჯგუფად მოკოპწიავე შესანიშნავი რვეულის ხილვა ერთ რამედ ულირდა — იმდენაც საუცხოო რამ სანახავნი იყვნენ ღედამიწაზე ყველაზე მარჯვედ ჩოგნის მცემელი კაცები.

ორშაბათი დაღამდა, სამშაბათი გათენდა და შაოლინელი ბერები რომ ნასადილევ განცხრომას მიეცნენ, სწორედ ემაგ დროს სახელიანი მეჩოგნენი მანდარინთა ხალათების ნაცვლად პუბლიკის წინ ხადაგი საკორტაო ფორმებით წარდგნენ.

წლევანდელ სუფრაზე პურის გატეხვა პატივად ესპანელ კარლოს მოიასა და რუს მარატ საფინს ერგოთ.

იმის მიუხედავად, რომ წლეულს ოთხი ტიტული ირგუნა და ტრავმამოკვეთებული კაცის კვალობაზე აქაიქ ზეჩაუქი თამაშიც აჩვენა, წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა კარლოს მოიამ მხოლოდ პარიზულ მასტერსტურნირზე როგიანი გარჯის წყალობით შეძლო.

მას რომ იქ მესამე წრეში სებასტიან გროჟანისთვის 6 (!) მატჩპოინტი არ გაეცუდებინა, ხოლო მეოთხედფინალში ანდრე აგასის არ გასცლოდა, ჩინურ ვიზაზე მის ნაცვლად ბრიტანელ ტიმ ჰენმანს უნდა ეჩალიჩა, ხოლო თავად მოია ახლა მშობლიური მალიორკის რომელსამე მძუვან პლაჟზე იგრიალებდა.

ვაგლახ! ოღონდ ვაგლახ მარატ საფინისთვის, ვინაც სწორედ პარიზული ტურნირის ნახევარფინალში მას ორ სეტში მოუთავა ხელი, მერე კი ლეიტონ ჰიუიტთან გადატანილ სატიტულო ბრძოლაში ისე არნახულად გაირჯა, რომ თავი ყველას შანხაის უპირველეს მაოხარად დაასახვინა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ზორბა სკვითმუსლიმმა გუშინ ვერაფერი გააწყო მოიას გამწევი, მომქანცველი სტილისა და შეუდარებელი ხელწალმების წინააღმდეგ. ესპანელმა ულრტვინველად აიტანა რუსის უმძლავრესი მიძალება და რაკილა საფინს თან ბევრიც ეშლებოდა, საქმე ორ სეტზე მეტხანს არ გაუჯანჯლებია. ისიც გამხელილი სჯობს, რომ რუსი ცოტა გადაღლილიც სჩანდა. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე მასა და ევგენი კაფელნიკოვს საფრანგეთში სადევისფინალოდ ჩასვლა უწევთ, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ორი კვირისწინანდელი პარიზელი საფინისგან გუშინ მხოლოდ ჯანი და უსაზმნო გლაჯუნი დარჩენილიყო.

მოია: „დღეს მის მოწოდებას რიგიანად ვიგერიებდი, ხანდახან კი მისი წნეხში მოქცევაც შევძელი. ვფიქრობ, ყველაფერი სწორედ ამან გადაწყვიტა".

ამან გადაწყვიტა თუ სხვა რამემ, მატჩმა საათსა და 38 წუთს გასტანა და 20 ქულის გარდა მოიას კიდევ 120 ათასი დოლარიც მოუტანა.

სხვათა შორის, ის და საფინი ერთმანეთს აქამდე სამჯერ შეხვედროდნენ და რუსი ერთი მოგებით უპირატესობდა.

დღის დანარჩენ ორ შეხვედრაში მასტერსთასის შარშანდელმა გამარჯვებულმა და კაცთა ამქრის ავსტრალიელმა უსტაბაშმა ლეიტონ ჰიუიტმა წლევანდელ მეროლანგაროსე ალბერტ კოსტას აჯობა, დახვეწილმა და დინჯმა შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა კი მოულოდნელად იოლად სძლია ხუან კარლოს ფერეროს.

ჰიუიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი უმთავრესი თულფი ურყევი ნება, გამარჯვებისადმი გარდაუვალი ლტოლვა და უსხარტესი გარჯაა. გუშინ მან მხოლოდ მეორე სეტში ჩაყვინთა, როცა ჯიშად მეუკანახაზე კოსტას ერთი თავისი გეიმი ჩააბარა. ეს მათი მე-6 შეხლა გახლდათ და 21 წლის ოზიმ მე-5 გამარჯვება მიითვალა. სხვა ყველაფერთან ერთად, ჰიუიტის ეს მოგება იმასაც ნიშნავს, რომ პირველი ადგილისთვის მასთან მოცილე ანდრე აგასის ის უკვე 108 ქულას უგებს.

შეგახსენებთ, რომ ფინალში ნახევარი 150 ქულით დაჯილდოვდება, ამიტომ ჯადო არმენოამერიკელი გაპირველების შანსებს ჯერაც ინარჩუნებს.





მარატ საფინი კარლოს მოიამ აოტა

რაც შეეხება კოლოფერეროსა და უაღრესად მოწესრიგებული ფედერერის დავას, აქ სადავო არც არაფერი იყო — ალპელმა გაცილებით სოლიდურად, დამაჯერებლად და უშეცდომოდ იჩოგნავა და ბასრი ესპანელისთვის გაბრძოლების ფიორა შანსიც არ მიუცია.

ფერერო და ფედერერი ერთმანეთს მესამედ შეხვდნენ და აქამომდელი ორი შეხვედრიდან ორივეში კოლობიჭს ემარჯვა.

ორიოდ სიტყვით ამ სამმატჩეულის შეჯამებას თუ ვეცდებით, ყველაზე მარტივი დანასკვი ასეთი იქნება — ტურნირზე მოხვედრილი სამი ესპანელიდან გუშინ მხოლოდ ერთმა მოიგო.

ბარემ იმასაც მოგაგონებთ, რომ სამკაციანი დელეგაციის მასტერსთასზე წარგზავნა აქამდე მხოლოდ ამერიკელებს მოჰხერხებოდათ.

**ლევან ძელაურაძე**

ამ უქმეებზე ევროპაში დიდი ბურთაობა იყო. ფეხბურთს არა და მის ინგლისელსავე ბიძაშვილს რაგბის ვგულისხმობთ, რომელიც ჩვენს პლანეტას ფეხბურთზე მეჩხერად კი მოსდებია, მაგრამ თუ საკუთარ თვალებს დავუჯერებთ, ხშირად არანაკლები ხიბლი ახლავს. ბრიტან-ირლანდიის კუნძულები და აგრეთვე საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპიროს ნაცრისფეროვანი დაბოლოება, პორტქალაქი მარსელი მსოფლიოს რაგბის ოჯახის ბობოლა ნევრებს (პლიუს რუმინეთი) მასპინძლობდნენ და თუმც სტუმრებში ერივნენ მსოფლიოს მოქმედი და ყოფილი ჩემპიონები — ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა, გამარჯვება ტესტში დამხვდურებს დარჩათ


REUTERS

ჟოან ვან ნეიკერკი და მისიანები ამაოდ დასდევდნენ ტომას კასტენედის (ბურთით) საფრანგეთს

# ალალია მამალზე

## ინგლისმა ახალი ზელანდია ჩაითვალა

**ინგლისი 31:28 ახალი ზელანდია**
*ლონდონი, თვიქნემი*

თვიქნემური მატჩი დანარჩენებზე სანახაობრივი გამოდგა. ხალხმა ფრიად ისიამოვნა თამაშითაც და შედეგითაც და ელიტარულ-ლონდონური სარაგბო აუდიტორია კმაყოფილების სრული შეგრძნებით დაიშალა. კვიმატმა ინგლისურმა პრესამ მაინც სცადა, ამ ცალსახა კმაყოფილების ზღვაში მედლის მეორე მხარე ეპოვა. ზოგიერთმა გაზეთმა დაწერა, რომ მათმა მხნე ლომებმა შესანიშნავად იბურთავეს, ტექნიკურ სამხრეთელებს ფინტებში არ ჩამორჩნენ, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ „ოლ ბლექსი" განახლებული, ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით გვეწვია და იმ გუნდის ძლევა, სადაც 12 ახალბედაა, ასე თავდავიწყებით არ უნდა გვახარებდესო. აი, ასეთებიც დაიწერა, მაგრამ სალი აზრის მაძიებლები უცებ მიაჩუმა საზოგადოებამ, აქაოდა, ზელანდიელებს ერთი ისეთი მოთამაშე ჰყავთ, მის გარდა შემადგენლობა 14 ახალბედითაც რომ შეავსონ, მაინც საშიშნი იქნებიანო. ამ ერთ კაცში ინგლისური ერი უცილობლად „შავების" ცხოველ გარემარბ ჯონა ლომუს გულისხმობდა. ლომუს კარიერის განმავლობაში არაერთხელ დაუზაფრავს ინგლისელები და მათში მტარვალად და კიდევ ვინ იცის, რად წოდებულმა არც ამჯერად შეირცხვინა თავი — მასპინძლებს ორი ლელო გაუტანა და საფუძვლიანადაც ანერვიულა, მაგრამ კლაივ ვუდვორდის შეგირდთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ამ შეგირდთაგან ერთ-ერთმა უთვალსაჩინოესმა, ყმაწვილმა ჯონი უილკინსონმა ახალზელანდიელებს ლელოც გაუტანა, სამი საჯარიმოც, ორი გარდასახვაც და ამ ყოველივეს ხურდად ერთი არჩევნიც მიაყოლა. ხალხი აგრეთვე ალაფრთოვანა მარცხენა გარემარბ ბენ კოენის ლამაზმა გარღვევამ და აკრობატულმა დალელოებამ.

**ირლანდია 18:9 ავსტრალია**
*დუბლინი, ლენსდაუნ როუდი*

ნახევარი თუ არა, მეოთხედი ირლანდია გადარია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა ძლევამ. გაზეთებმა ხოტბა შეასხეს ბრაიან ოდრისკოლს, რონან ოგარას და სხვა „სამყურა" გმირებს, ხოლო როცა საქებარი სიტყვები გამოილია, ხალხმა ირლანდიური როკ-ბენდის U2-ის ცნობილი სიმღერა „მშვენიერი დღე" მოიშველია.

მთლიანობაში ავსტრალიელები კუნძულელ მეზობლებზე, ახალზელანდიელებზე სრული შემადგენლობით ეწვივნენ ევროპას და თითქმის ყველა ვარსკვლავი იახლეს. თუმცა ირლანდიელთა მწყობრ და კარგად განსწავლულ ნაკრებთან ვერაფერი გააწყვეს.

**საფრანგეთი 30:10 სამხრეთ აფრიკა**
*მარსელი,ველოდრომი*

მსოფლიოს თასი ამ დღეებში რომ გაიმართოს, საფრანგეთს ჩემპიონობაში ბევრი ვერავინ შეეცილებოდა. ლეზებასპრული „მამლები" კამჟღებივით ხნავენ მიწდორს და ვინც წინ დაუდგებათ, სულ თვალებს უკორტნიან. ფრანგებმა წლეულს დიდი სლემით მოიგეს ექვსი ერის პირველობა და აგერ, მარსელში სამხრეთაფრიკელი „ქურციკებიც" დაიფრინეს. ფრანგებს ისე საარაკოდ უბურთავიათ, ამ გამარჯვების შემდეგ პრესა ეიფორიაშია. „ამ ბიჭებში გაიღვიძა ჭეშმარიტად ლაღმა ფრანგულმა სულმა" — ასეთი ფრაზების ამოკითხვა შეიძლება „ლე მონდში", „ეკიპში" და სხვა გაზეთებში.

მასპინძლებმა მართლაც ილაღეს, ბურთს იშვიათად თმობდნენ და სამხრეთაფრიკელებს თავიდანვე უხშობდნენ შეტევებს. სტუმრებს უჭირდათ ქულების მოპოვება და საერთოდ მეტოქის ნახევარზე გადასვლაც კი. ფრანგებმა მათ ლონეშიც აჯობეს, სისწრაფე-მოქნილობაშიც და ჭკუაშიც.

**უელსი 58:14 ფიჯი**
*კარდიფი, მილენიუმ სთედიუმი*

სამხრეთელთა ტანჯვა უელსის მთავარქალაქ კარდიფში დასრულდა, სადაც მასპინძლებს ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრა პოლიტიკურ რუკაზე პატარა, მაგრამ რაგბის პლანეტაზე მოზრდილმა ქვეყანა ფიჯიმ. ფიჯელებს ეხერხებათ რაგბი და იციან ლელოს გატანა, მაგრამ ამ შაბათს ლელოებს ძირითადად უელსელები იტანდნენ.

**შოტლანდია 37:10 რუმინეთი**
*ედინბურგი, მაურიფილდი*

ჯერ უელსთან 3:40, შემდეგ კი აგერ, შოტლანდიასთან მწარე მარცხებმა ერთხელაც დაგვიდასტურა, რომ რუმინეთი, ხშირად ჩვენი მეტოქე, სულაც არაა სარაგბო ელიტის წევრი, თუმც ბობოლები ხანდახან მაინც უყადრებენ თავს, ისე, ხანდახან, წასავარჯიშებლად.

**კოტე ყოჩშია**


REUTERS

ინგლისელმა ჯონი უილკინსონმა კიტ რობინსონი წააქცია და მისი ახალი ზელანდია დააქცია



**რეგულარული ჩემპიონატი**

# ყაჩაღები თაღლითობას დაეჩვივნენ

11 ნოემბერი

**სან ხოსე 4:5 რეინჯერსი 0:2 2:3 2:0**
0:1 პეტროვიცკი (5), 0:2 რ. მიურეი (12), 1:2 შტურმი (2:1), 1:3 ლიჩი (26), 1:4 დონატო (29), 2:4 სულივანი (30), 2:5 რ. მიურეი (37), 3:5 რიჩი (45), 4:5 მარლო (51)

ბროდვეის „ბანდიტებს" ვინძლო მწვრთნელი საერთოდაც არ სჭირდებოდეთ. უქმეებზე რეინჯერსმა კოლუმბუსთან წაგებული მატჩის ბოლოს ნამდვილი ომი გააჩაღა, რაშიც დამნაშავედ თავკაცი ბრაიან ტროტიე და კშიშტოფ ოლივა სცნეს. ბრაიანმა მატჩის დამთავრებამდე 3 წამით ადრე მთელი თავისი „პოლიციელები" ერთბაშად გაიყვანა ყინულზე და შეხლა-შემოხლაც დაიწყო. შედეგად ტროტიემ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, პლონელმა მეომარმა კი — ხუთიანი.

და აი, უთავკაცო რეინჯერსმა უილბლო სტარტით გამწარებული და მეომარი სან ხოსე თავისსავე მოედანზე წააქცია. რეინჯერსმა არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია და კვლავ მიმართა პროვოკაციას — მეორე პერიოდის ბოლოს მეტიუ ბარნაბიმ მსაჯთათვის შეუმჩნევლად ისეთი ილეთები იხმარა, რომ სანხოსელი ტოდ ჰარვი მოთმინებიდან გამოიყვანა. იგი ბარნაბის ეცა და ამისთვის 2-წუთიანი ჯარიმა მიიღო. ამით რემ მიურეიმ ისარგებლა, დანარჩენ დროში კი სან ხოსემ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლო.

„ბარნაბიმ თავად გამომიწვია ჩხუბში, რამდენჯერმე ფეხში ჩამარტყა ყვანჯი, მაგრამ მერე თავი აარიდა საქმის ვაჟკაცურ გარჩევას. ეს მას სჩვევია" — ამბობდა მატჩის შემდეგ ჰარვი.

**ბოსტონი 6:1 ედმონტონი 1:0 3:1 2:0**
1:0 გ. მიურეი (6), 2:0 როლსტონი (21), 3:0 ზამუელი (26), 3:1 მორო (33), 4:1 როლსტონი (37), 5:1 ბერნარდი (47), 6:1 ტორნტონი (57)

**ატლანტა 2:1 კალგარი 1:0 0:0 1:1**
1:0 შტეფანი (17), 2:0 კაბერლე (44), 2:1 კლარკი (56)

„ჩვენი მეკარე ჯემი მაკლენანი ბოლო მატჩებში ჩინებულად თამაშობს, ჩვენ კი ბევრით ვერაფრით ვეხმარებით — წუხდა ნამატჩევს კალგარის ლიდერი ჯეროუმ იგინლა. წინა ჩემპიონატში 51 გოლის გამტან ფორვარდს წლეულს ხელი მოეცარა — ბოლო 11 მატჩში მხოლოდ ერთი შეაგდო. ამჯერად სწორედ მას ჰქონდა ბოლო წამებზე გუნდის გადარჩენის შანსი, მაგრამ ატლანტის მეკარე პასი ნურმინენს ვერ გაუმკლავდა.

**ფლორიდა 2:2 ჩიკაგო 1:1 0:1 1:0 0:0**
1:0 იოკინენი (3), 1:1 სალივანი (7), 1:2 კორნოლიოგი (32), 2:2 ბოუმისტერი (52)

**ტამპა 4:2 ფინიქსი 3:0 1:1 0:1**
1:0 მოდინი (5), 2:0 რუპა (6), 3:0 ნეკარი (14), 4:0 ანდრეიჩუკი (21), 4:1 ამონტე (25), 4:2 ბრიერი (45).

ლუკ ანდრეიჩუკი კმაყოფილი უნდა იყოს. ორი წლის წინ იგი აუტსაიდერ ტამპაში გადავიდა და ვერც წარმოედგინა, რომ 2002-03 წლების სეზონი ასეთი იღბლიანი გამოდგებოდა მისთვისაც და გუნდისთვისაც. დღესდღეობით „ელვები" ლიგის ლიდერთა შორის არიან, რაშიც 21 სეზონის განმავლობაში ნჰლ-ში მოასპარეზე ვეტერანსაც მიუძღვის წვლილი. მან ამჯერად კარიერაში 249-ე გამოიყენა რიცხვობრივი უპირატესობა და ამ მხრივ ყველა დროის რეკორდსმენ ფილ ესპოზიტოს გაუტოლდა.

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 14 | 9 | 2 | 0 | 3 | 45:28 | 20 |
| პიტსბურგი | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 46:44 | 17 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 8 | 0 | 0 | 4 | 30:23 | 16 |
| რეინჯერსი | 18 | 7 | 2 | 0 | 9 | 46:59 | 16 |
| აილენდერსი | 15 | 5 | 1 | 0 | 9 | 36:54 | 11 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 14 | 9 | 2 | 1 | 2 | 51:33 | 21 |
| მონრეალი | 14 | 6 | 4 | 0 | 4 | 39:41 | 16 |
| ოტავა | 12 | 5 | 1 | 0 | 6 | 29:32 | 11 |
| ტორონტო | 15 | 4 | 2 | 0 | 9 | 45:50 | 10 |
| ბუფალო | 14 | 3 | 3 | 0 | 8 | 30:36 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 16 | 9 | 2 | 1 | 4 | 57:42 | 21 |
| კაროლინა | 15 | 7 | 2 | 2 | 4 | 34:34 | 18 |
| ვაშინგტონი | 15 | 8 | 1 | 0 | 6 | 35:38 | 17 |
| ფლორიდა | 16 | 6 | 2 | 2 | 6 | 37:47 | 16 |
| ატლანტა | 14 | 3 | 1 | 1 | 9 | 38:53 | 8 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 13 | 10 | 1 | 0 | 2 | 54[illegible] | 21 |
| ჩიკაგო | 15 | 8 | 2 | [illegible] | 5 | 37[illegible] | 18 |
| დეტროიტი | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 44:36 | 16 |
| კოლუმბუსი | 14 | 7 | 1 | 1 | 5 | 45:40 | 16 |
| ნეშვილი | 14 | 2 | 2 | 4 | 6 | 31:44 | 10 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 16 | 10 | 2 | 0 | 4 | 50:35 | 22 |
| ვანკუვერი | 15 | 6 | 4 | 0 | 5 | 40:40 | 16 |
| კალგარი | 16 | 5 | 3 | 3 | 5 | 39:44 | 16 |
| კოლორადო | 15 | 4 | 4 | 3 | 4 | 40:40 | 15 |
| ედმონტონი | 15 | 4 | 3 | 1 | 7 | 38:47 | 12 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 48:36 | 20 |
| ლოს ანჯელესი | 15 | 7 | 2 | 1 | 5 | 43:43 | 17 |
| ანაჰაიმი | 15 | 6 | 3 | 0 | 6 | 37:40 | 15 |
| ფინიქსი | 16 | 6 | 0 | 1 | 9 | 36:52 | 13 |
| სან ხოსე | 15 | 5 | 1 | 1 | 8 | 42:51 | 12 |

## კვირის მოთამაშე

**ჟოსლენ ტიბო (ჩიკაგო)**



როცა ფორვარდები პასიურობენ, მეკარეთა ჯერი დგება. გასულ კვირას მეგოლეები ნაკლებად გამოირჩნენ, ამიტომაც ლაურეატობა მეკარეს შეხვდა, ამ სეზონში პირველად. ჟოსლენ ტიბომ თავის გუნდს სამი მატჩი მოაგებინა, აქედან ორში შათაუტი მიითვალა, თანაც ერთ-ერთი თვით დეტროიტთან (2:0) შეხვედრაში. იმ თამაშში ტიბომ 31 დარტყმა მოიგერია. ტამპასთანაც (3:2) არანაკლებ დამაჯერებლად გაისარჯა და 37-ჯერ აუღო მეტოქეებს. ეს კვირა ნამდვილად მისი იყო. იგი კარიერაში მესამედ გახდა ლაურეატი.

**საუკეთესო ექვსეული (4-10 ნოემბერი)**

*ჟოსლენ ტიბო (ჩიკაგო, 1); მაიკ რატიე (სან ხოსე, 1) — ჯონ კლემი (ჩიკაგო, 1); ერიკ ბოგუნიეცკი (სენტ ლუისი, 1) — ენდრიუ კესელსი (კოლუმბუსი, 1) — მარიან ჰოსა (ოტავა, 1)*

## შეგირდიც „გარუსდა"



ყველას სურს რუსეთის ჩემპიონატში თამაში. გნებავთ კიდევ ერთი მაგალითი? ხუთიოდე თვის წინ ჩეხ მცველ ირჟი შლეგრს დიდი ტრიუმფი ჰქონდა, დეტროიტის რიგებში, სტენლის თასის მფლობელი შეიქნა, ახლა კი ომსკის გზას დაადგა. წლეულს შლეგრმა ნჰლ-ის ჩემპიონატი ატლანტას რიგებში დაიწყო, თუმცა მწვრთნელთა აზრით, არცთუ დამაჯერებლად და ერთი-ორჯერ თადარიგში დარჩენა მოუხდა. განაწყენებულმა ჩეხმაც არც აცია, არც აცხელა და თავის თანამემამულე ივან პლინკას ომსკის ავანგარდში გადასვლა ამჯობინა. ლეგენდარული ჩეხი მცველის იოჟი ბუბლას ვაჟიშვილმა (შლეგრი დედის გვარია) რუსული ჰოკეის ერთ-ერთ ლიდერთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



# ტაისონის მასხრობა

ვაშინგტონში იქაური „ვიზარდისა“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თამაშს სამოქალაქოდ ჩაცმული და სევდიანი ადევნებდა თვალს ტრავმირებული ლეიკერსელი შაკილ ონილი. მთავარი გუნდელები კი მთელი არსებით ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი, ისე, როგორც მოედანზე შესასვლელად გამზადებული რობერტ ჰორი. სამაგიეროდ, ბევრი იხითხითა მაიკ ტაისონმა, რომელიც თამაშზე მეგობარ გოგოსთან, ლუზ ვიტნისთან ერთად მისულიყო და ფოტოკამერების წინ ბრაზიანი კაცის იმიჯის გაქარწყლებას ლამობდა. „ვიზარდზმა“ კი ერთი ქულით მოუგო ჩემპიონებს.





# აგასის შეუძლია

შანხაიში ითამაშებს ანდრე აგასი, რომელსაც ჩინური სამოსიც კოხტად მოურგია. მსოფლიოს მეორე ნომერი აგასი ამჟამად ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელსაც ლეიტონ ჰიუიტის პირველობის დამხობა შეუძლია. შანხაის რეკეტი მასტერსის მოგების შემთხვევაში ასეც იქნება.



# სხვის მიწაზე

ბუენოს აირესს ჩასულა არგენტინელთა უპირველესი საფეხბურთო მტრის, მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელიც, თავისუფლად შეიძლებოდა არგენტინელიც ყოფილიყო, თუ მისი იტალიელი მშობლები ოდნავ სამხრეთით ჩაუშვებდნენ ღუზას. ბაირესელ მოწაფეებს კი დიახაც მოეწონათ ამ ბაბუასთან ლაპარაკი, მძიმე ხასიათისა ვერაფერი უპოვნეს.



# ჰიმნი

ეს უფლისწული უილიამი მღერის თავისი ოჯახისა და ქვეყნის სადიდებელ ჰიმნს მისივე ოჯახის ათიათასობით ქვეშევრდომთან ერთად. ამბავი თვიქნემში ხდება, ინგლისელებისა და ახალზელანდიელების სარაგბო თამაშის წინ.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელაია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge